186
1972

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 2

მარტი—აპრილი

1972 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 2 მარტი—აპრილი 1972 წ.

შინაარსი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

20. შაქრის ჭარხლის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გადიდებით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალური დაინტერესების გაძლიერების შესახებ.
21. „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის (მშთ)“ ახალი სრულიად საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის შემოღების ღონისძიებათა შესახებ.
22. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

23. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად საიუბილეო საპატიო სიგელების დაწესების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებები

24. საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებისა და საწარმოების კოლექტივებისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშისა და პირველი ფულადი პრემიის დაწესების შესახებ.

12003

ეროვნული ბიბლიოთეკა

25. საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სოფლის ჯგუფური წყალსადენების ექსპლუატაციის ორგანიზაციათა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების პირობების დამტკიცების შესახებ.

26. საქართველოს სსრ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ ბოსტნეულის წარმოებისა და სახელმწიფო შესყიდვის 1972-1975 წლების გეგმების შესრულებისა და გადაჭარბებისათვის პრემიების დაწესების შესახებ.

27. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 1 დეკემბრის № 658 და 1967 წლის 23 იანვრის № 52 დადგენილებათა ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

28. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 10 აგვისტოს № 536 დადგენილებით დამტკიცებულ „საქართველოს სსრ-ში ნადირობისა და სამონადირეო მეურნეობის დებულებაში" ცვლილების შეტანის შესახებ.

29. „ინვალიდებისათვის უფასოდ მიცემული ავტომანქანების ექსპლუატაციის პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 30 ივლისის № 462 დადგენილების 1 პუნქტში დამატების შეტანის თაობაზე.

30. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებთან ფასებისა და ტარიფების დაცვის კომისიების შექმნის შესახებ.

31. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს საკითხები.

32. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 10 თებერვლის № 108 დადგენილებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

33. საქართველოს სს რესპუბლიკაში ზომამცირე გემების რეგისტრაციის, აღრიცხვის, ტექნიკური შემოწმებისა და ექსპლუატაციის წესების დამტკიცების შესახებ.

34. თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ნინო ნაკაშიძის სახელობის სტიპენდიის დაწესების შესახებ.

35. დასამზადებელი და საერთო-საკავშირო ფონდში გასაგზავნი ხილის, ბოსტნეულისა და კარტოფილის ხარისხისადმი კონტროლის გაძლიერების შესახებ.

36. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული დეპეშათა სააგენტოს (საქდესის) საკავშირო-რესპუბლიკური მნიშვნელობის საინფორმაციო სააგენტოდ (საქინფორმად) გარდაქმნის შესახებ.

37. საქართველოს სს რესპუბლიკაში ტექნიკური და სპეციალური ბიბლიოთეკების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

38. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 30 აგვისტოს № 520 დადგენილების დაბა წაღვერზე გავრცელების შესახებ.

39. სამტრედიის რაიონული პოლიკლინიკისათვის აკადემიკოს ი. ი. ჯანელიძის სახელის მიკუთვნების შესახებ.

40. მოხუცებულ მოქალაქეთა ფასიანი პანსიონატის შესახებ.

41. „საქართველოს სს რესპუბლიკაში შხამიანი და სხვა სახის გველების დაცვისა და მოპოვების მოწესრიგების შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 19 ივნისის № 357 დადგენილების მოქმედების ვადის 1975 წლის 31 დეკემბრამდე გაგრძელების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

20 შაქრის ჭარხლის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გადიდებით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალური დაინტერესების გაძლიერების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. „შაქრის ჭარხლის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გადიდებით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალური დაინტერესების გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 2 თებერვლის № 98 დადგენილება დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად საქართველოს კპ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტს, საქართველოს კპ კასპის, გორის, ქარელისა და ხაშურის რაიკომებს, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტს „საქკონსერვხილბოსტანს“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, კასპის, გორის, ხაშურისა და ქარელის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს.

2. გავრცელდეს რესპუბლიკის ჭარხლის მთესველ ყველა რაიონზე, 1972 წლის მოსავლიდან დაწყებული, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 2 თებერვლის № 98 დადგენილებით დაწესებული შესასყიდი ფასი შაქრის ჭარხლისა, რომელსაც საქართველოს სსრ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები და ორგანიზაციები ჰყიდიან, ტონაში 34 მანეთის ოდენობით.

3. მიეცეთ, 1972 წლის მოსავლიდან დაწყებული, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებს შაქრის ჭარხალში, რომელსაც სახელმწიფოს მიჰყიდიან წლიური გეგმის გადამეტებით, დანამატი შესასყიდი ფასების 50 პროცენტის ოდენობით.

4. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტს „საქკონსერვხილბოსტანს“, ჭარხლის მთესველი რაიონების პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფოსათვის შაქრის ჭარხლის მიყიდვის სახალხო-სამეურნეო გეგ-

მით გათვალისწინებულ დავალებათა უცილობლივ შესრულებას, ოპტიმალურ ვადებში მოაწყონ ამ კულტურის თესვა მაღალხარისხოვანი თესლით და განახორციელონ სხვა აგროტექნიკური ღონისძიებანი, რომლებიც საჭიროა შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის მისაღებად და თვითღირებულების შესამცირებლად, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ შესასყიდი ფასების გადიდებისა და ზეგეგმითი შესყიდვის სტიმულირების ამ დადგენილებით გათვალისწინებული ღონისძიებანი ჰქმნიან რესპუბლიკის ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მეჭარხლეობის რენტაბელური წარმოებისათვის საჭირო პირობებს.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტს „საქკონსერვხილბოსტანს" მიიღოს გადაუდებელი ზომები, რათა დროზე მომზადდეს შაქრის კომბინატის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შეუფერხებლივ იქნას მიღებული მეურნეობებისაგან და გადამუშავდეს შაქრის ჭარხლის მოსავალი.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1972 წლის 16 მარტი, № 130.

21 „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის (მშთ)" ახალი სრულიად საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის შემოღების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 17 იანვრის № 61 დადგენილებით დამტკიცებული „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის (მშთ)" ახალი სრულიად საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსი წარმოადგენს ფიზიკური აღზრდის საბჭოური სისტემის პროგრამულ და ნორმატიულ საფუძველს, რომელიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს საბჭოთა ადამიანების მორალური და სულიერი სახის ჩამოყალიბებას, მათს ყოველმხრივ ჰარმონიულ განვითარებას, მოსახლეობის მომზადებას მაღალნაყოფიერი შრომისა და სამშობლოს დაცვისათვის.

მშთ ახალი კომპლექსის შემოღების აუცილებლობა გამოწვეულია იმით, რომ 1939 წლის მშთ კომპლექსი, რომელმაც დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩვენს ქვეყანაში ფიზიკური აღზრდის საბჭოური სისტემის შექმნასა და მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებაში, აღარ შეესაბამება დროის გაზრდილ მოთხოვნებს. ამან უარყოფითი გავლენა მოახდინა ჩვენს ქვეყანაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაზე.

ფიზიკური კულტურა სუსტადაა გამოყენებული მოსწავლეთა პროფესიული და სამხედრო-გამოყენებითი მომზადების გაუმჯობესებისათვის. რესპუბლიკის ბევრ საწარმოში, ქშეხებლობაზე, დაწესებულებაში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში არა ჩანს ყოველდღიური მზრუნველობა მშრომელთა ფიზიკური აღზრდისათვის. მეტად განსაზღვრულად იყენებენ ფიზიკური კულტურის საშუალებებს მუშა-მოსამსახურეთა შრომისა და დასვენების მეცნიერული ორგანიზაციის იმ ღონისძიებათა კომპლექსში, რომლებიც ხორციელდება შშრომელთა ჯანმრთელობისა და შემოქმედებითი აქტივობის მრავალი წლისათვის შენარჩუნების, პროფესიულ დაავადებათა პროფილაქტიკის, მავნე ჩვევების წინააღმდეგ ბრძოლის, შრომითი და საზოგადოებრივი დისციპლინის განმტკიცების, აგრეთვე ახალგაზრდობის აღზრდის მიზნით.

მთელი რიგი სამინისტროები და უწყებები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციები არ იჩენენ სათანადო ინიციატივასა და სიმტკიცეს იმ ამოცანების გადაწყვეტაში, რომლებიც დაკავშირებულია ფიზიკური კულტურისა და სპორტის მეცადინეობისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოებასთან როგორც წარმოებაში, ისე რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონული ცენტრების საცხოვრებელ მასივებში.

მშთ ახალი კომპლექსის წარმატებით შემოღებისათვის საჭირო პირობების შექმნის მიზნით და „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის (მშთ)“ ახალი სრულიად საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის შემოღების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 17 იანვრის № 61 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მიღებულ იქნეს განუხრელ სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 17 იანვრის № 61 დადგენილება „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის (მშთ)“ ახალი სრულიად საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის შემოღების შესახებ“.

2. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, საქართველოს პროფსაბჭოს, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტს, საქართველოს სსრ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალურ კომიტეტს და საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოებას შეიმუშაონ და განახორციელონ მშთ ახალი კომპლექსის შემოღების ღონისძიებანი, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ საჭიროა:

— ფიზიკური კულტურის დანერგვა მშრომელთა ყოველდღიურ ცხოვრებაში, სხვადასხვა ასაკის ადამიანთა მოზიდვა ფიზიკური კულტურისა და სპორტის რეგულარულ მეცადინეობაში და სპორტის მანობრივი განვითარება;

— რესპუბლიკური, საოლქო და რაიონული თათბირებისა და აქტივების მოწყობა 1972 წლის აპრილ-მაისში მშთ ახალი კომპლექსის შემოღების საკითხზე;

— სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის მოწყობა ფიზიკური კულტურის კოლექტივებში, სპორტულ კლუბებში და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოსახლეობის მოსამზადებლად მშთ კომპლექსის ნორმების ჩაბარებისათვის;

— მასობრივი სპორტული შეჯიბრებებისა და მშთ კომპლექსის ნორმების ჩაბარების სპარტაკიადების ყოველწლიურად მოწყობა, 1972 წლიდან დაწყებული.

3. რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის შემდგომი გაშლა მშთ ახალი კომპლექსის ნორმების საფუძველზე, ისეთი ყოველმხრივ განვითარებული და ფიზიკურად სრულყოფილი ადამიანების მომზადება, რომელთაც შესწევთ მაღალნაყოფიერი შრომისა და სოციალისტური სამშობლოს დაცვის უნარი.

4. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი, რათა მოეწყოს იმ მუშათა, კოლმეურნეთა და მოსამსახურეთა ჯანმრთელობის სამედიცინო კონტროლი, რომლებიც ფიზიკურ კულტურასა და სპორტს ეწევიან, და ყველა იმ პირისა, ვინც მშთ კომპლექსის ნორმებს აბარებს.

5. დაევალოს არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალურ კომიტეტს არა უგვიანეს მიმდინარე წლის 1 მაისისა წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი ტყვიის სროლაში მოსახლეობის მასობრივი მომზადებისა და ნორმატივების ჩაბარების შესახებ.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა:

— მოაწყოს პროპაგანდისტთა მოკლევადიანი სემინარები, რათა ფართოდ განემარტოს მშრომელებს მშთ ახალი კომპლექსის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა;

— უზრუნველყოს საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის და საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელთა აქტიური მონაწილეობა მშთ ახალი კომპლექსის პროპაგანდაში.

7. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხუთი გარდამავალი წითელი დროშა რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების, ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების, სამინისტროებისა და უწყებების ყოველწლიურად დაჯილდოებისათვის.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა ერთი თვის ვადაში გამოსცეს 40 ათასი ცალი ტირაჟით დებულება „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის (მშთ)“ სრულიად საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის შესახებ, რომელიც დამტკიცებულია

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 17 იანვრის № 61 დადგენილებით.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთების რედაქციებმა ფართო პროპაგანდა გაუწიონ მშთ ახალი კომპლექსის შემოღების და რესპუბლიკაში მშთ კომპლექსის ნიშნოსანთა მომზადების დაწესებული დავალების შესრულებას.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 28 მარტი, № 143.

22 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

1971-1975 წლებისათვის კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტების შეზღუდულობის გამო, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. გაუქმდეს:

— საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 14 აპრილის № 236 დადგენილების მე-9 პუნქტის ქვეპუნქტი „ბ“;

—საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 24 იანვრის № 50 დადგენილების 27-ე პუნქტის ქვეპუნქტი „გ“;

— საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 20 ივლისის № 410 დადგენილების პუნქტი 5.

დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს დამატებითი სახსრებისა და მატერიალური რესურსების გამოვლინების კვალობაზე წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ განხორციელდეს 1972-1975 წლებში საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 20 ივლისის № 410 დადგენილების მე-4 პუნქტში აღნიშნული სამუშაოები.

2. გამოირიცხოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 23 თებერვლის № 127 დადგენილების მე-2 პუნქტიდან შემდეგ შენობათა მშენებლობა: ელექტრომანქანათსაშენებელი და რადიოტექნიკური ტექნიკუმისა ქ. თბილისში, მანქანათსაშენე-

ბელი და სატრანსპორტო ტექნიკუმისა ქ. ქუთაისში, სამშენებლო ტექნიკუმებისა ქ. ბათუმსა და გურჯაანში, კვების ტექნიკუმისა ქ. სოხუმში, მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმისა ქ. ცხაკაიაში, აგრეთვე კულტურსაგანმანათლებლო სასწავლებლისა ქ. თბილისში, მუსიკალური სასწავლებლისა ქ. სოხუმში, № 2 მუსიკალური სასწავლებლისა და ორი სამედიცინო სასწავლებლისა ქ. თბილისში;

— საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 20 ივლისის № 446 დადგენილების №№ 2 და 3 დანართებიდან გამოირიცხოს საავადმყოფოს გაფართოება ლაგოდეხში და საავადმყოფოს მშენებლობა გეგეჭკორში.

3. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 16 თებერვლის № 92 დადგენილების 21-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და კავშირგაბმულობის სამინისტრომ გაითვალისწინონ სამინისტროს კაპიტალურ დაბანდებათა ყოველწლიურ გეგმებში დასახლებული პუნქტების რადიოფიკაცია ამ ღონისძიებებისათვის ხუთწლიანი გეგმით ნავარაუდევ ასიგნებათა ფარგლებში“.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1972 წლის 11 აპრილი, № 173.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

23 საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად საიუბილეო საპატიო სიგელების დაწესების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო აღნიშნავენ, რომ რესპუბლიკის საწარმოების, მშენებლობების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის მშრომელთა მაღალი პოლიტიკური აქტივობა, თავდადებული შრომა და შემოქმედებითი ინიციატივა უზრუნველყოფს კომუნისტური მშენებლობის იმ ამოცანების წარმატებით განხორციელებას, რომლებიც გათვალისწინებულია სკკპ პროგრამითა და პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებით.

რესპუბლიკის მშრომელები, ემზადებიან რა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ნახევარსაუკუნოვანი იუბილესათვის, წარმატებით ასრულებენ შრომის ეფექტიანობის გადიდების, წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის, ახალ სიმძლავრეთა უსწრაფესად ამოქმედებისა და ათვისების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი თვითღირებულების შემცირების სოციალისტურ ვალდებულებებს.

რესპუბლიკის იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივების შრომითი წარმატებების აღნიშვნის მიზნით, რომლებმაც საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაწესდეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 50 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულების — საწარმოებისა და ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივების წასახალისებლად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს საიუბილეო საპატიო სიგელები.

საიუბილეო საპატიო სიგელები მიენიჭოთ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ერთობლივი დადგენილებით.

საიუბილეო საპატიო სიგელები განაწილდეს რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს შორის, № 1 დანართის თანახმად.

დაწესდეს, რომ ფულადი პრემიების მიცემა საიუბილეო საპატიო სიგელებით დაჯილდოებული საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და ორგანიზაციების კოლექტივებისათვის, რომლებიც მონაწილეობენ რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში, წარმოებს იმ ოდენობით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშების მინიჭების დროს.

2. იმასთან დაკავშირებით, რომ დაწესდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 50 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საპატიო სიგელები ფულადი პრემიებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართ-

ველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს, სამინისტროების, უწყებების და დარგობრივ პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების გარდამავალი წითელი დროშები და პირველი ფულადი პრემიები საწარმოთა კოლექტივებს 1972 წლის III კვარტალის და კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს 1972 წლის შედეგების მიხედვით არ მიენიჭოთ.

3. დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც არ იღებენ მონაწილეობას რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ფულადი პრემიები მიეცეთ № 2 დანართით გათვალისწინებული ოდენობით დაწესებულების, ორგანიზაციის ხარჯთაღრიცხვის თანხების მომჭირნეობის ანგარიშში, ხოლო, თუ ეს სახსრები საკმარისი არ არის — მთლიანად შესაბამისი სამინისტროს (უწყების) ხარჯთაღრიცხვის ცალკეულ ღონისძიებათა განხორციელების ხარჯების მომჭირნეობის ანგარიშში.

4. დაწესდეს, რომ საიუბილეო საპატიო სიგელებით დაჯილდოვდება ავრეთვე საკავშირო დაქვემდებარების 45 საწარმო, რომელთა კოლექტივებმა მიაღწიეს მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს და წარმატებით შეასრულეს სსრ კავშირის იუბილეს აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი.

5. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულებს საიუბილეო საპატიო სიგელები გადაეცემათ და ამ სიგელების მინიჭების შესახებ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება გამოქვეყნდება საწარმოთა და ორგანიზაციათა საზეიმო სხდომებზე, კრებებზე, მიტინგებზე.

6. დაევალოთ სამინისტროებსა და უწყებებს, პროფკავშირთა შესაბამის რესპუბლიკურ კომიტეტებს საქართველოს კომუნისტური პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან შეთანხმებით შეაჯამონ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 50 წლისთავის აღსანიშნავად საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და ორგანიზაციების კოლექტივების მიერ გაშლილი საიუბილეო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები 1972 წლის საგეგმო დავალებათა და ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების შედეგების მიხედვით, აგრეთვე წინა წლებში მათი მუშაობის გათვალისწინებით და 1972 წლის 20 ოქტომბრისათვის წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს მასალები რესპუბლიკის იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნე-

ობების კოლექტივების შესახებ, რომლებსაც მათი აზრით უნდა მიენიჭოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს საიუბილეო საპატიო სიგელები.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**	საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**	საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **თ. მოსაშვილი.**

ქ. თბილისი, 1972 წლის 11 აპრილი, № 175.

№ 2 ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1972 წლის 11 აპრილის № 175 დადგენილების დანართი № 1

განაწილება

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს საიუბილეო საპატიო სიგელებისა

საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების დასახელება	სამახსოვრო საიუბილეო საპატიო სიგელების რაოდენობა
კვების მრეწველობის სამინისტრო	12
ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო	4
მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	6
საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	3
მშენებლობის სამინისტრო	5
სასოფლო მშენებლობის სამინისტრო	2
ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტრო	3
საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო	4
საავტომობილო გზების სამინისტრო	1
კავშირგაბმულობის სამინისტრო	2
ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	3
კომუნალური მეურნეობის სამინისტრო	5
მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო	5
მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო	2
სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო	2
სოფლის მეურნეობის სამინისტრო	18
საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო	6
ვაჭრობის სამინისტრო	4
საქართველოს სსრ გეოლოგიის საწარმოო სამმართველო	3
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზიფიკაციის მთავარი სამმართველო	2
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველო	2
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტი	3
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტი „საქკონსერვხილბოსტანი“	4
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი	2
საქართველოს სსრ დამზადების სამინისტრო	2
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა“	2
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნავთობპროდუქტების მომარაგებისა და გასაღების მთავარი სამმართველო	2
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მთავარი სამმართველო	2
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი	2
ცეკავშირი	5
თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველო	1
სახმშენი	1

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების დასახელება	სამახსოვრო საიუბილეო საპატიო სიგელების რაოდენობა
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი	2
ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო	5
კულტურის სამინისტრო	4
განათლების სამინისტრო	5
ფინანსთა სამინისტრო	1
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია	3
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი	1
უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო	3

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1972 წლის 11 აპრილის № 175 დადგენილების დანართი № 2

ფულადი პრემიების ოდენობა,

რაც ეძლევათ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, საქართველოს სსრ სახმშენის, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოს და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების კოლექტივებს.

საწარმოებში (ორგანიზაციებში) მომუშავეთა რაოდენობა (კაცი)	პრემიების ოდენობა მანეთობით
100-დან 150-მდე	1200
151-დან 200-მდე	1800
201-დან 250-მდე	2400
251-დან 300-მდე	2550
301-დან 400-მდე	3000
401-დან 500-მდე	3300
501-დან 750-მდე	5100
751-დან 1000-მდე	6750
1001-დან 1250-მდე	7800
1251-დან 1500-მდე	9000
1501-დან 1750-მდე	9900
1751-დან 2000-მდე	10950
2001-დან 2500-მდე	13590
2501-დან 3000-მდე	16800
3001-დან 4000-მდე	21000
4001-დან 5000-მდე	25200
5001-დან 7500-მდე	29400
7501-დან 10000-მდე	33750

შენიშვნა: იმ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, სადაც 100 კაცზე ნაკლები მუშაობს, პრემიები ეიცემათ მომუშავეთა რაოდენობის პროპორციულად პრემიების იმ თანხიდან, რაც დაწესებულია იმ საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, სადაც 100 კაცი მუშაობს.

მუნ. ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებები

24 საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებისა და საწარმოების კოლექტივებისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშისა და პირველი ფულადი პრემიის დაწესების შესახებ

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებისა და საწარმოთა კოლექტივებს შორის სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ განვითარების, სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში შემოქმედებითი ინიციატივისა და აქტიურობის ამაღლების, სოფლად კულტურული ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, პურის ცხობის შემდგომი გაუმჯობესების, დამზადებისა და საწარმოო საქმიანობის სრულყოფისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფსაბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაწესდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს ერთი გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ კოოპერაციულ ორგანიზაციაზე გადასაცემად.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია ყოველკვარტალურად გადაეცეს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ კოოპერაციულ ორგანიზაციას ცეკავშირის გამგეობის, სახვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის დადგენილებით.

3. პირველი ფულადი პრემიის გაცემა მოხდეს პრემიის სკალით, რომელიც დამტკიცებულია „ცენტროსოიუზის" გამგეობის, სახვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ 1957 წლის 8 ივლისის დადგენილებით.

— ფულადი პრემია გაიცეს კოოპერაციული ორგანიზაციების ზეგეგმითი მოგების იმ თანხის ხარჯზე, რაც დარჩება ბიუჯეტში მოგებიდან საშემოსავლო გადასახადის შეტანის შემდეგ.

12003

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**	საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე **თ. მოსაშვილი.**

ქ. თბილისი, 1972 წლის 2 მარტი, № 94.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

25 საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სოფლის ჯგუფური წყალსადენების ექსპლოატაციის ორგანიზაციათა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების პირობების დამტკიცების შესახებ

„კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სოფლის მეურნეობის და სხვა სახელმწიფო საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 1 დეკემბრის № 658 და 1967 წლის 28 იანვრის № 52 დადგენილებების დამატებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაწესდეს დამატებით, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს და სოფლის მეურნეობის და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა პირველი ფულადი პრემიით, აგრეთვე მეორე და მესამე პრემიები სამინისტროს სოფლის ჯგუფური წყალსადენების ექსპლოატაციის ორგანიზაციების კოლექტივების წასახალისებლად, რომლებმაც გაიმარჯვეს რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

2. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სოფლის ჯგუფური წყალსადენების ექსპლოატაციის ორგანიზაციათა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების თანდართული პირობები.

3. სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების ფულადი პრემიის ოდენობა და მათი გაცემის წყარო დადგინდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 28 იანვრის № 52 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**	საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე **თ. მოსაშვილი**

ქ. თბილისი, 1972 წლის 22 მარტი, № 127.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1972 წლის 22 მარტის № 127
დადგენილებით

სოციალისტური შეჯიბრების პირობები

1. შეასრულონ და გადააჭარბონ მომხმარებლებზე სასმელი წყლის მიწოდების გეგმა და უზრუნველყონ მომხმარებლებისათვის სასმელი წყლის შეუფერხებელი მიწოდება.

2. შეასრულონ და გადააჭარბონ მაგისტრალური წყალსატარისა და საუბნოთაშორისო განმანაწილებელი ქსელის მიმდინარე და კაპიტალური შეკეთების სამუშაოები, სატუმბო სადგურების აგრეგატების რემონტის გეგმა, სათავე ნაგებობების, რეზერვუარების, საწნეო კოშკების რემონტის გეგმა — დაწესებულ ვადებში, ამასთანავე დაცულ იქნეს კარგი ხარისხი და მიღებულ იქნეს მომჭირნეობა სახარჯთაღრიცხვო ღირებულებასთან შედარებით ამ სამუშაოებზე მთლიანად.

3. მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ მოგების გეგმა, ხოლო იქ, სადაც მოგება არ არის გათვალისწინებული, — შეამცირონ ზარალი (გეგმასთან შედარებით).

4. უზრუნველყონ ყველა მოქმედი მაგისტრალური და საუბნოთაშორისო განმანაწილებელი ქსელის ტარირება.

5. უზრუნველყონ შრომატევადი პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ფართო განვითარება.

6. სათანადო ქლორირების შედეგად ყველა წყალსადენში დაიცვან სასმელი წყლის საჭირო ხარისხი.

7. მიაღწიონ სატუმბო სადგურებისა და მექანიზმების უავარიო მუშაობას.

26 საქართველოს სსრ კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მიერ ბოსტნეულის წარმოებისა და სახელმწიფო შესყიდვის 1972-1975 წლების გეგმების შესრულებისა და გადაჭარბებისათვის პრემიების დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბოსტნეულის წარმოებისა და სახელმწიფო შესყიდვის 1972-1975 წლების გეგმების შესრულებისა და გადაჭარბებისათვის წახალისების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაწესდეს პრემიების ყოველწლიურად გაცემა ბოსტნეულის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმების შესრულებისა და გადაჭარბებისათვის:

ორი პირველი პრემია: ერთი—კოლმეურნეობისათვის და ერთი—საბჭოთა მეურნეობებისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშის და 2000 მანეთი ფულადი პრემიის მიცემით, აგრეთვე თითო სატვირთო ავტომანქანის მიყიდვით.

ოთხი მეორე პრემია: ორი—კოლმეურნეობებისათვის და ორი—საბჭოთა მეურნეობებისათვის ათას-ათასი მანეთის ფულადი პრემიის გაცემით და თითო სატვირთო ავტომანქანის მიყიდვით.

2. პრემიები საბჭოთა მეურნეობებს მიეცეს ამ მეურნეობების წახალისების ფონდიდან, ზეგეგმითი მოგების ან წარმოების დანახარჯების ზეგეგმითი ეკონომიის ხარჯზე, ხოლო კოლმეურნეობებს — სახელმწიფო ბიუჯეტის თანხებიდან.

3. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ ბოსტნეულის წარმოებისა და სახელმწიფო შესყიდვის 1972-1975 წლების გეგმების შესრულებისა და გადაჭარბებისათვის გარდამავალი წითელი დროშით და ფულით დაჯილდოების, აგრეთვე ავტომანქანების მიყიდვის შესახებ.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროებს და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს ფართოდ გააცნონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ზემოაღნიშნული დებულება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**	საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **თ. მოსაშვილი.**

ქ. თბილისი, 1972 წლის 13 აპრილი, № 167.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
და საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 13 აპრილის
№ 167 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ ბოსტნეულის წარმოებისა და სახელმწიფო შესყიდვის 1972-1975 წლების გეგმების შესრულებისა და გადაჭარბებისათვის გარდამავალი წითელი დროშით, ფულით დაჯილდოების, აგრეთვე ავტომანქანის მიყიდვის შესახებ

საერთო დებულება

1. ეს დებულება შემოღებულია 1972-1975 წლების განმავლობაში ბოსტნეული კულტურების პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმების შესრულებისა და გადაჭარბებისათვის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების და რესპუბლიკის დაქვემდებარების სხვა სახელმწიფო მეურნეობების წახალისების მიზნით.

დაჯილდოების მაჩვენებლები, პრემიები და მათი ოდენობა

2. კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო მეურნეობები ჯილდოვდებიან ბოსტნეული კულტურების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმების შესრულებისა და გადაჭარბებისათვის ასორტიმენტის, ჩაბარების ვადებისა, აგრეთვე სტანდარტის დაცვის შემთხვევაში იმ პირობით, თუ თითოეულ მეურნეობას ბოსტნეულის ნათესი ექნება არანაკლები: კოლმეურნეობას — 20, ხოლო საბჭოთა მეურნეობას — 60 ჰექტარი.

თუ მეურნეობები უზრუნველყოფილია მაღალხარისხოვანი თესლით მომავალი წლის თესვის (დარგვის) გეგმის შესასრულებლად;

საჰექტარო მოსავლიანობის გეგმა შესრულებულია ბოსტნეულის ძირითად სახეობათა მიხედვით;

ბოსტნეული კულტურების თვითღირებულება და მათ წარმოებაზე შრომის დანახარჯები გეგმის ფარგლებშია.

3. დადგენილია ყოველწლიურად შემდეგი ჯილდოების გაცემა:

ორი პირველი პრემია: ერთი—კოლმეურნეობისათვის და ერთი—საბჭოთა მეურნეობისათვის, თითოეულს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშის და 2000 მანეთის ფულადი პრემიის მიცემით და თითო სატვირთო მანქანის მიყიდვით.

ოთხი მეორე პრემია: ორი—კოლმეურნეობისათვის და ორი—საბჭოთა მეურნეობისათვის, თითოეულს — 1000 მანეთი პრემიის მიცემა და თითო სატვირთო მანქანის მიყიდვა.

4. დასაჯილდოებლად მეურნეობები წარმოდგენილ უნდა იქნეს გასული სამეურნეო წლის მაჩვენებლების მიხედვით:

კოლმეურნეობები — მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის, ხოლო საბჭოთა მეურნეობები — საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს დარგობრივი ტრესტების მიერ.

წარდგენის საბუთებს თან უნდა ახლდეს რაიაღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოების, დარგობრივი ტრესტების ცნობები ბოსტნეული კულტურების თესვის, მათი მოსავლიანობის და სახელმწიფოსათვის მიყიდვის შესახებ.

5. დაჯილდოების მასალები განიხილება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს და სოფლის მეურნეობის და დამზადების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის წარმომადგენელთაგან შემდგარი კომისიის მიერ და წარედგინება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

---

27 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 1 დეკემბრის № 658 და 1967 წლის 28 იანვრის № 52 დადგენილებათა ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს შექმნასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ე ნ:

რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ საბჭოთა მეურნეობების დასაჯილდოებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 1 დეკემბრის № 658 და 1967 წლის 28 იანვრის № 52 დადგენილებებით დაწესებული გარდამავალი წითელი დროშები და ფულადი პრემიები (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 2 გარდამავალი წითელი დროშა პირველი ფულადი პრემიებით, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სოფლის მეურნეობის და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის 4 გარდამავალი წითელი დროშა პირველი ფულადი პრემიებით, 4 მეორე ფულადი პრემია და 4 მესამე ფულადი პრემია) საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნაცვლად დაუწესდეს საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს.

ზემოაღნიშნული დადგენილებებით დამტკიცებული რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების პირობები და პრემიების სკალა გავრცელდეს საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**	საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **თ. მოსაშვილი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 13 აპრილი, № 168

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

28 **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 10 აგვისტოს № 536 დადგენილებით დამტკიცებულ „საქართველოს სსრ-ში ნადირობისა და სამონადირეო მეურნეობის დებულებაში“ ცვლილებების შეტანის შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს წინადადება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 10 აგვისტოს № 536 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სსრ-ში ნადირობისა და სამონადირეო მეურნეობის დებულების“ მე-19 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ და აიკრძალოს ნადირობა ქ. თბილისის საზღვრებში და საზღვრებიდან — 15 კილომეტრიანი ზოლის ფარგლებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **რ. შანიძე.**

ქ. თბილისი, 1972 წლის 7 მარტი, № 102.

29 **ინვალიდებისათვის უფასოდ მიცემული ავტომანქანების ექსპლოატაციის პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 30 ივლისის № 462 დადგენილების 1 პუნქტში დამატების შეტანის თაობაზე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 30 ივლისის № 462 დადგენილების 1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს ნება დართონ, როგორც გამონაკლისი, ინვალიდებს, რომლებმაც უფასოდ მიიღეს ხელით სამართავი ავტომობილები „ზაპოროჟეცი“, აგრეთვე რომლებსაც აქვთ „ზაპოროჟეცის“ მარკის ავტომობილის უფასოდ მიღების უფლე-

ბა, მაგრამ სრული ღირებულებით შეიძინეს სხვა მარკის ავტომობილი, ააშენონ, თუ საამისო ტექნიკური შესაძლებლობა იქნება, გარაჟები ავტომანქანების გასაჩერებლად ეზოებში ან მათი საცხოვრებელი ადგილის მახლობლად".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1972 წლის 17 მარტი, № 121.

30 მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებთან ფასებისა და ტარიფების დაცვის კომისიების შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს მოაწყონ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატებთან, დიდ საწარმოებთან, აგრეთვე მცირე საწარმოების ჯგუფებში მოსახლეობისათვის გაწეული მომსახურების ფასებისა და ტარიფების დაცვის კომისიები.

აღნიშნული კომისიების შემადგენლობაში შეიყვანონ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მახლობლად მდებარე სამრეწველო საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშები და მოსამსახურეები.

2. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებთან არსებული მომსახურების ფასებისა და ტარიფების დაცვის კომისიების ხელმძღვანელობა დაეკისროთ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებულ ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვის კონტროლის კომისიებს.

აღნიშნულ კომისიებს გამოეცვალოთ სახელი და ეწოდოთ „მშრომელთა დეპუტატების რაიონულ (საქალაქო) აღმასრულებელ კომიტეტებთან, სავაჭრო ორგანიზაციებთან, მაღაზიებთან, საზოგადოებრივი კვების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების და კომუნალური მომსახურების საწარმოებთან არსებული მომსახურების ფასების, ტარიფების, ვაჭრობისა და ყოფაცხოვრების სამსახურის წესების დაცვის კონტროლის კომისიები.

3. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის მიერ წარმოდგენილი და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან, საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმთან, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტთან,

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან და საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროსთან შეთანხმებული დებულება სავაჭრო ორგანიზაციებთან, მაღაზიებთან, საზოგადოებრივი კვების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების საწარმოებთან არსებული მომსახურების ფასების, ტარიფებისა და ვაჭრობის წესების დაცვის კონტროლის კომისიების შესახებ.

4. დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს მოახდინონ ფასების, ტარიფების, ვაჭრობისა და ყოფაცხოვრების სამსახურის წესების უწყებრივი და საზოგადოებრივი კონტროლის კოორდინირება ქალაქისა და რაიონის ფარგლებში.

5. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 24 აპრილის № 215 და 1971 წლის 23 სექტემბრის № 500 დადგენილებანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1972 წლის 23 მარტი, № 135.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 23 მარტის № 135 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან, სავაჭრო ორგანიზაციებთან, მაღაზიებთან, საზოგადოებრივი კვების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების საწარმოებთან არსებული მომსახურების ფასების, ტარიფების, ვაჭრობისა და ყოფაცხოვრების სამსახურის წესების დაცვის კონტროლის კომისიების შესახებ

I. ზ ო გ ა დ ი დ ე ბ უ ლ ებ ა ნ ი

1. **მომსახურების** ფასების, ტარიფების, ვაჭრობისა და ყოფაცხოვრების სამსახურის წესების დაცვის კონტროლის კომისიები შეიქმნება მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების ყველა აღმასრულებელ კომიტეტთან, სავაჭრო ორგანიზაციებთან (გარდა რესპუბლიკური სავაჭრო ორგანიზაციებისა), მაღაზიებთან, სახელმწიფო ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების საწარმოებთან, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატებთან, დიდ საწარმოებთან.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი:

ა) რაიონული დაყოფის მქონე ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებთან კომისიები არ შეიქმნება;

ბ) მაღაზიების მცირე ფარდულებში, ფილიალებსა და სახელოსნოებში საზოგადოებრივ კონტროლს ახორციელებენ კომისიები, რომლებიც შექმნილია მაღაზიებთან, საზოგადოებრივი კვებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებთან;

გ) კომუნალური მეურნეობის საწარმოებთან კომისიები არ შეიქმნება. ამ საწარმოებში საზოგადოებრივ კონტროლს ახორციელებენ უშუალოდ რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომებთან მოქმედი კომისიები;

დ) სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში მოქმედებენ საკონტროლო-სარევიზიო კომისიები, რწმუნებულთა ჯგუფები, სადუქნო და სასადილოთა კომისიები და საზოგადოებრივი ინსპექტორები, რომლებსაც მეპაიეთა კრებებზე ირჩევენ.

2. მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან, სავაჭრო ორგანიზაციებთან, მაღაზიებთან, საზოგადოებრივი კვებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებთან არსებული მომსახურების ფასებისა და ტარიფების, ვაჭრობისა და ყოფაცხოვრების სამსახურის წესების დაცვის კონტროლის კომისიები წარმოადგენენ საზოგადოებრივი კონტროლის სისტემის ერთიან რგოლებს, რომლებიც მოწოდებული არიან მუდმივი საზოგადოებრივი კონტროლი გაუწიონ მომსახურების ფასების, ტარიფებისა და ვაჭრობის წესების დაცვას სავაჭრო ორგანიზაციებში, საზოგადოებრივი კვების, მოსახლეობის საყოფაც-

ბოვრებო მომსახურებისა და კომუნალური მეურნეობის საწარმოებში ქალაქის ან რაიონის მასშტაბით.

3. მომსახურების ფასების, ტარიფების, ვაჭრობისა და ყოფაცხოვრების სამსახურის წესების დაცვის კომისიების წევრთა შემადგენლობას და რაოდენობას დაამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოს აღმასკომი თავის სხდომაზე მის რწმუნებათა ვადით:

ა) მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან კომისიები შეიქმნება საბჭოს დეპუტატების, ორგანიზაციათა, საწარმოთა, დაწესებულებათა წარმომადგენლების რიცხვიდან შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე (აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ან აღმასკომის წევრი), თავმჯდომარის მოადგილე და კომისიის წევრები იმ რაოდენობით, რასაც დაადგენს ამ კომისიის შემქმნელი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, მაგრამ არანაკლებ 5 კაცისა;

ბ) სავაჭრო ორგანიზაციებთან, მაღაზიებთან, საზოგადოებრივი კვებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებთან კომისიები შეიქმნება დეპუტატებისაგან, სამრეწველო საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების, საზოგადოებრიობის (მაღაზიების, საზოგადოებრივი კვების და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მახლობლად მდებარე სახლებში მცხოვრებ მყიდველთა რიცხვიდან) წარმომადგენლებისაგან 3-5 კაცის რაოდენობით.

სავაჭრო ორგანიზაციებთან, მაღაზიებთან, საზოგადოებრივი კვებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებთან არსებული კომისიების შემადგენლობაში არ შეიძლება იყვნენ ისეთი პირები, რომლებიც ნათესაურ დამოკიდებულებაში არიან სავაჭრო ორგანიზაციის, მაღაზიის, საზოგადოებრივი კვების და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოს მუშაკებთან.

4. მომსახურების ფასების, ტარიფების, ვაჭრობისა და ყოფაცხოვრების სამსახურის წესების დაცვის კონტროლის კომისიები თავიანთ მუშაობაში ანგარიშს აბარებენ:

ა) აღმასკომთან არსებული მომსახურების ფასების, ტარიფების, ვაჭრობისა და ყოფაცხოვრების სამსახურის წესების დაცვის კონტროლის კომისია— მხოლოდ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს;

ბ) სავაჭრო ორგანიზაციებთან, მაღაზიებთან, საზოგადოებრივი კვების და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებთან არსებული კომისიები — მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებულ კომისიებს და იმ აღმასკომებს, რომლებმაც კომისიის შემადგენლობა დაამტკიცეს.

5. აღმასკომთან, სავაჭრო ორგანიზაციასთან, მაღაზიასთან, საზოგადოებრივი კვების და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოსთან არსებული მომსახურების ფასების, ტარიფების, ვაჭრობისა და ყოფაცხოვრების სამსახურის წესების დაცვის კონტროლის კომისიები თავიანთ მუშაობაში მონაწილეობას მიაღებინებენ ადგილობრივ აქტივს, მუშებისა, მოსამსახურე-

ებისა, კოლმეურნეებისა, ინტელიგენციისა, დიასახლისებისა და პენსიონერებისაგან.

მომსახურების ფასების, ტარიფების, ვაჭრობისა და ყოფაცხოვრების სამსახურის წესების დაცვის კონტროლის რაიონული (საქალაქო კომისიების) წევრებს მიეცემათ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მიერ ხელმოწერილი მოწმობები.

6. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული მომსახურების ფასების, ტარიფების, ვაჭრობისა და ყოფაცხოვრების სამსახურის წესების დაცვის კონტროლის კომისიები:

ა) მუშაობენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ვაჭრობის მუდმივ კომისიასთან და სახალხო კონტროლის შესაბამის კომიტეტთან მჭიდრო კონტაქტით და მათ უთანხმებენ თავიანთ მუშაობას;

ბ) ახდენენ იმ კომისიების მუშაობის კოორდინირებას, რომლებიც საზოგადოებრივ საწყისებზე მოქმედებენ რაიონში (ქალაქში).

7. სავაჭრო ორგანიზაციების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების საწარმოების ხელმძღვანელები მოვალენი არიან უზრუნველყონ საჭირო პირობები კომისიების წარმატებითი მუშაობისათვის, ყოველნაირად დაუჭირონ მხარი მათს ინიციატივას, რაც მიმართულია მოსახლეობის სავაჭრო, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების გაუმჯობესებისაკენ.

8. მომსახურების ფასების, ტარიფების, ვაჭრობისა და ყოფაცხოვრების სამსახურის წესების დაცვის კონტროლის რაიონული და საქალაქო კომისიების საქმიანობის ხელმძღვანელობას ახორციელებენ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო და ცეკავშირის გამგეობა, ხოლო მეთოდურ ხელმძღვანელობას ახორციელებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტი.

II. კომისიის ამოცანები

9. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან, სავაჭრო ორგანიზაციებთან, მაღაზიებთან, საზოგადოებრივი კვებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებთან არსებული მომსახურების ფასებისა და ტარიფების, ვაჭრობისა და ყოფაცხოვრების სამსახურის წესების დაცვის კონტროლის კომისიების ძირითადი ამოცანაა მუდმივი საზოგადოებრივი კონტროლი გაუწიონ სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ორგანიზაციებისა და საწარმოების მიერ სამრეწველო და სასურსათო საქონლის დაწესებული საცალო ფასების და ვაჭრობის წესების დაცვას, აგრეთვე სახელმწიფო დისციპლინის დაცვას ფასების დაწესებისა და გამოყენების დარგში, და მოსახლეობისათვის ანგარიშსწორების სისწორეს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კომუნალური მეურნეობის საწარმოებში.

ამ მიზნით მომსახურების ფასების, ტარიფებისა და ვაჭრობის წესების დაცვის კონტროლის კომისიები შეამოწმებენ და მუდმივ კონტროლს გაუწევენ:

ა) დაწესებული ფასების, ტარიფების, ფასნამატისა და ფასდაკლების დაცვას საბითუმო და საცალო სავაჭრო ორგანიზაციების, საზოგადოებრივი კვების, აგრეთვე საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების საწარმოების მიერ, მათი უწყებრივი ქვემდებარების მიუხედავად;

ბ) საცალო ფასების აღნიშვნას სახალხო მოხმარების გასაყიდ საქონელზე, საიმპორტო საქონლის ჩათვლით;

გ) ფასების იარლიყების (საფასარების) არსებობას მაღაზიების დახლებზე და ვიტრინებში გამოფენილი საქონლის ნიმუშებზე და მათზე აღნიშნული საცალო ფასების სისწორეს;

დ) საქონლის მიცემას მომხმარებლებისათვის სრული წონითა და ზომით;

ე) საზომ-საწონი ხელსაწყოების, დოზატორებისა და დასაფასოებელი ხელსაწყოების მდგომარეობას;

ვ) საზოგადოებრივი კვების საწარმოებში კერძებში პროდუქტების ჩადების დაწესებული ნორმებისა და მზა კერძების გამოსავლიანობის ნორმების დაცვას;

ზ) კერძების ასორტიმენტს, მენიუსა და ბუფეტის პროდუქციის მრავალფეროვნებას, დასარიგებელი საზომი ჭურჭლის არსებობას;

თ) ვაჭრობის კულტურის, აგრეთვე სანიტარიული წესების დაცვას სასურსათო საქონლის მიტანის, შენახვისა და დამუშავების დროს;

ი) სამუშაოსა და მომსახურების მოქმედი ფასების, შეკვეთების მიღების, შესრულებისა და გაცემის წესების, მათი შესრულების წესისა და ვადების შესახებ თვალსაჩინო საინფორმაციო მასალების არსებობას მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების საწარმოებში.

კ) საჩივრებისა და წინადადებათა წიგნების, საკონტროლო ჟურნალების არსებობას ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებში, მშრომელთა საჩივრების, წინადადებების განხილვის მდგომარეობას და მათ გამო მიღებული ზომების ეფექტიანობას.

10. კომისიები ახსნა-განმარტებითს მუშაობას ეწევიან და სხვა ღონისძიებებს ახორციელებენ მყიდველთა, დახლისა და ყოფაცხოვრების სამსახურის მუშაკთა შორის, ცდილობენ შექმნან პირობები ნამდვილი კულტურული საბჭოთა ვაჭრობის მოსაწყობად და მომსახურების გასაწევად სავაჭრო ორგანიზაციაში, მაღაზიაში, სასადილოში, რესტორანში, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების საწარმოებში, აღზარდონ ვაჭრობისა და ყოფაცხოვრების სამსახურის მუშაკები მომსახურების ფასების, ტარიფებისა და საბჭოთა ვაჭრობის წესების ყოველგვარი დარღვევისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით.

III. კომისიების მუშაობის ორგანიზაცია

11. კომისიები თავიანთ მუშაობას აწყობენ შემდეგნაირად:

ა) მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული მომსახურების ფასებისა და ტარიფების, ვა-

ჭრობისა და ყოფაცხოვრების სამსახურის წესების დაცვის კონტროლის კომისიები:

— დაამტკიცებენ კომისიის მუშაობის წლიურ და კვარტალურ გეგმებს;

— მოიწვევენ კომისიის სხდომებს საჭიროების მიხედვით, მაგრამ თვეში ერთხელ მაინც და გადაწყვეტენ ყველა საკითხს ხმის უბრალო უმრავლესობით. კომისიის გადაწყვეტილება ძალაშია, თუ მის სხდომას ესწრება კომისიის შემადგენლობის ნახევარზე მეტი;

— კომისია თავის მუშაობას ეწევა როგორც უშუალოდ, ისე სავაჭრო ორგანიზაციებთან, მაღაზიებთან, სახელმწიფო ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებთან შექმნილი შესაბამისი კომისიების, აგრეთვე სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებისა და საწარმოების სადუქნო და საკონტროლო-სარევიზიო კომისიების მეშვეობით;

— სისტემატურად მოისმენენ კომისიების სხდომებზე ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების ორგანიზაციებისა და საწარმოების ხელმძღვანელების, აგრეთვე სავაჭრო და საყოფაცხოვრებო საწარმოებთან არსებული კომისიების თავმჯდომარეების ანგარიშებს მომსახურების ფასების, ტარიფების, ვაჭრობისა და ყოფაცხოვრების სამსახურის წესების დაცვის საკითხებზე;

— შეიმუშავებენ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების კულტურის გაუმჯობესება, ფასებისა და საბჭოთა ვაჭრობის და ყოფაცხოვრების სამსახურის წესების დარღვევის ლიკვიდაცია და შეაქვთ ეს საკითხები აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად;

ბ) სავაჭრო ორგანიზაციებთან, მაღაზიებთან, საზოგადოებრივი კვების და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებთან არსებული მომსახურების ფასების, ტარიფების, ვაჭრობისა და ყოფაცხოვრების სამსახურის წესების დაცვის კონტროლის კომისიები:

— თავიანთი შემადგენლობიდან გამოყოფენ კომისიის თავმჯდომარესა და მდივანს და გაანაწილებენ მოვალეობას კომისიის წევრებს შორის;

— მაღაზიებში, სასადილოებში, რესტორნებსა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებში გამოაკრავენ მყიდველთა საყურადღებოდ კომისიების წევრთა სიებს, სადაც აღნიშნავენ მათს მისამართებსა და ტელეფონების ნომრებს და სისტემატურ კონტროლს გაუწევენ საცალო ფასების, მომსახურების ტარიფებისა და ვაჭრობის წესების, შეკვეთების მიღების, შესრულებისა და გაცემის წესების დაცვას;

— სავაჭრო ორგანიზაციებთან, მაღაზიებთან, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებთან არსებული კომისიების წევრთა სხდომებს მოიწვევს კომისიის თავმჯდომარე საჭიროების მიხედვით, მაგრამ თვეში ერთხელ მაინც. კომისია ადგენს თავისი სხდომების ოქმს.

12. აღმასკომთან არსებულ ფასების, ვაჭრობის წესების დაცვის კონტროლის კომისიას უფლება აქვს:

ა) საჭირო შემთხვევებში მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად წარადგინოს მასალები სავაჭრო ორგანიზაციებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების საწარმოების მიერ დადგენილი ფასების, ტარიფებისა და ყოფაცხოვრების სამსახურის და ვაჭრობის წესების დაცვის შემოწმების შედეგების შესახებ:

ბ) გაეცნოს დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების ინსტრუქციებს, ბრძანებებს, სხვა საბუთებსა და მასალებს, რომლებიც კომისიას სჭირდება ფასების, ტარიფების, ვაჭრობისა და ყოფაცხოვრების სამსახურის წესების დაცვის ფუნქციების შესასრულებლად;

გ) მიიღოს ორგანიზაციებისა და საწარმოებისაგან საჭირო საბუთები და ახსნა-განმარტებანი, რომლებიც დაკავშირებულია ფასების, ტარიფების, ვაჭრობისა და ყოფაცხოვრების სამსახურის წესების დაცვის შემოწმების მუშაობასთან, რასაც კომისია ეწევა;

დ) კომისიის სხდომაზე მოისმინოს ორგანიზაციათა და საწარმოთა ხელმძღვანელების ინფორმაცია კომისიის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე;

ე) სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების დაქვემდებარების მიხედვით ზემდგომი ორგანოების განსახილველად წარადგინოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ პასუხისგებაში იქნან მიცემული ორგანიზაციათა და საწარმოთა ხელმძღვანელები ფასების, ტარიფების დარღვევის, მყიდველთა ზომასა, წონასა და ანგარიშში მოტყუებისა და სხვა ბოროტმოქმედების შემთხვევებში;

ვ) ამხანაგურ სასამართლოებს ან მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ ადმინისტრაციულ კომისიას გადასცეს დაწესებული ფასების, ტარიფების, ვაჭრობისა და ყოფაცხოვრების სამსახურის წესების დარღვევისათვის ჯარიმის დასადებად იმ მუშაკთა საქმეები, რომლებმაც დაუშვეს დარღვევა ან ჩაიდინეს ბოროტმოქმედება, თუ ეს დარღვევები არ შეიცავენ ისეთ ნიშნებს, რაც სისხლის სამართლის წესით ისჯება;

ზ) საჭიროების შემთხვევაში გადასცეს მასალები საგამომძიებლო ორგანოებს დამნაშავეთა მისაცემად სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

13. სავაჭრო ორგანიზაციებთან, მაღაზიებთან, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებთან არსებულ კომისიებს უფლება აქვთ:

ა) გაეცნონ სავაჭრო ორგანიზაციაში, მაღაზიაში, საზოგადოებრივი კვების და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოში ინსტრუქციებს, ბრძანებებს და სხვა საბუთებსა და მასალებს, რომლებიც კომისიას სჭირდება ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვის კონტროლის ფუნქციების შესასრულებლად, მიიღოს შესამოწმებელი სავაჭრო ორგანიზაციის, სავაჭრო საწარმოს და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოს ხელმძღვანელებისა და სხვა მუშაკებისაგან საჭირო საბუთები და ახსნა-განმარტებანი, რომლებიც დაკავშირებულია იმ შემოწმებებთან, რასაც კომისია აწარმოებს;

ბ) მოხსნას ვაჭრობიდან ისეთი საქონელი, რომელიც გადაფასებას საჭიროებს, დააყენოს სავაჭრო ორგანიზაციის, მაღაზიის, საზოგადოებრივი კვების და

საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოს ხელმძღვანელობის წინაშე საკითხი უწესივრო ან დაუდამღავი საწონ-საზომი ხელსაწყოების ამოღების შესახებ;

გ) მოისმინოს კომისიის სხდომებზე შესამოწმებელი სავაჭრო ორგანიზაციების, სავაჭრო საწარმოებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა ხელმძღვანელების ანგარიშები კომისიის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე;

დ) მოიწვიოს სავაჭრო ორგანიზაციის, მაღაზიისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოს სპეციალისტები კონსულტაციისათვის;

ე) სავაჭრო ორგანიზაციის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ხელმძღვანელობის განსახილველად შეიტანოს წინადადებანი, რომ სასჯელი დაედოს ან პასუხისგებაში იქნას მიცემული საწარმოთა მუშაკები, რომლებიც არ იღებენ ზომებს ფასებისა და ტარიფების დარღვევის, მომხმარებელთა ზომა-წონასა და ანგარიშში მოტყუების და სხვა ბოროტმოქმედების წინააღმდეგ.

14. მომსახურების ფასების, ტარიფებისა და საბჭოთა ვაჭრობის წესების დაცვის ყოველგვარი დარღვევის შესახებ სავაჭრო ორგანიზაციებთან, მაღაზიებთან, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებთან არსებული კომისიები სისტემატურად მოახსენებენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ კომისიებს.

31 საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს საკითხები

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დაგეგმვის გაუმჯობესების, ტექნიკური დონის ამაღლებისა და შემდგომი სპეციალიზაციის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო:

— რესპუბლიკის სამინისტროებთან და უწყებებთან (რომელთა გამგებლობაში იმყოფებიან საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები), ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან ერთად ახორციელებს ღონისძიებებს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისა და მისი სახალხო მეურნეობის მსხვილ მექანიზებულ დარგად გარდაქმნისათვის;

— ახორციელებს აღნიშნული სამინისტროებისა და უწყებების დაქვემდებარებაში მყოფ საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა ქსელის გაფართოებისა და განლაგების, წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების სამუშაოთა კოორდინაციას;

— ატარებს ერთიან ტექნიკურ პოლიტიკას მომსახურების ახალი სახეობისა და პროგრესული ფორმების დანერგვის საქმეში;

— შეიმუშავებს და გამოსცემს კატალოგებს, პროსპექტებს, პლაკატებს, აგრეთვე ტექნიკურ ინფორმაციას საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხებზე;

— განიხილავს სამინისტროებისა და უწყებების საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მიერ გეგმების შესრულებას. უზრუნველყოფს აღნიშნულ ობიექტებს ერთიანი ქვითრებით და კონტროლს გაუწევს მათი სწორად გამოყენების საქმეს;

— განიხილავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტთან ერთად პრეისკურანტებისა და ტარიფების სწორად გამოყენების მდგომარეობას;

— სამინისტროებისა და უწყებების და შესაბამისი პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტების მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე განიხილავს და დააჯილდოებს მოწინავე მუშაკებს საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სისტემაში არსებული წამახალისებელი ნიშნებითა და სიგელებით.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საგეგმო კომიტეტი საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროსთან ერთად განიხილავს სამინისტროებისა და უწყებების საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობას, კაპიტალური მშენებლობის გეგმებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების დისლოკაციის საკითხებს.

3. საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა შექმნა ან ლიკვიდაცია, მათი საქმიანობის მოცულობის გაზრდა ან შემცირება დასაშვებია საქართვე-

ლოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, საქართველოს სსრ ფინანსთა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროებთან შეთანხმებით.

4. რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები, რომელთა გამგებლობაშია მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები, საჭიროების შემთხვევაში უდგენენ საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს, მისი მოთხოვნით, მასალებს, რაც დაკავშირებულია ამ დადგენილებით მინიჭებულ უფლებათა განხორციელებასთან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **რ. შანიძე.**

ქ. თბილისი, 1972 წლის 26 მარტი, № 139.

32 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 10 თებერვლის № 108 დადგენილებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

„სახელმწიფო ბიუჯეტის საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 10 თებერვლის № 108 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1945 წლის 6 იანვრის № 18 დადგენილება „სოფლის სკოლების მასწავლებლებისა და მედიცინის მუშაკებისათვის ხელფასის დროულად მიცემის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“;

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1945 წლის 10 ოქტომბრის № 1294 დადგენილება „აგრონომებისა, ვეტექიმებისა, ზოოტექნიკოსებისა და მიწათმომწყობებისათვის ხელფასის დროულად მიცემის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“;

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1946 წლის 4 თებერვლის № 104 განკარგულება.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 10 თებერვლის № 108 დადგენილებით ძალადაკარგულად ცნობილია

პუნქტი 5 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 4 მაისის № 861 დადგენილებისა „მოკავშირე რესპუბლიკების მეურნეობის სახელმწიფო დაგეგმვისა და დაფინანსების წესის შეცვლის შესახებ“, აგრეთვე პუნქტი 45 ამ დადგენილების დანართისა „მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების გადასაწყვეტად გადასაცემი საკითხები“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 28 მაისის № 308 დადგენილებასთან ერთად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1972 წლის 12 აპრილი, № 164.

33 საქართველოს სს რესპუბლიკაში ზომამცირე გემების რეგისტრაციის, აღრიცხვის, ტექნიკური შემოწმებისა და ექსპლოატაციის წესების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სს რესპუბლიკაში ზომამცირე გემების რეგისტრაციის, აღრიცხვის, ტექნიკური შემოწმებისა და ექსპლოატაციის თანდართული წესები.

2. დაევალოს საქართველოს სსრ წყალში მაშველი საზოგადოების ცენტრალურ საბჭოს შეიმუშაოს და განიხილოს საზოგადოების პრეზიდიუმის სხდომაზე საჭირო ინსტრუქციები და დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავენ ზომამცირე გემების აღრიცხვის, რეგისტრაციისა და შემოწმების ნორმებსა და პრაქტიკულად განხორციელების წესს.

მთელი ტარიფები და მცირეწყვის ფლოტის სანავიგაციო-ტექნიკურ მომსახურებასთან და პლაჟების დათვალიერებასთან დაკავშირებული გამოსაღების ოდენობა დაწესდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით.

სასაზღვრო ზონისა და სასაზღვრო ზოლის პირობებში ზომამცირე გემების აღრიცხვის, რეგისტრაციისა და შემოწმების განხორციელების დროს იხე-

ლმძღვანელოს სსრ კავშირის ტერიტორიულ წყლებში სათევზაო, სპორტული სამეცნიერო-საკვლევი და სხვა გემების (ნავების) ნაოსნობისა და საქართველოს სსრ ფარგლებში შავი ზღვის სანაპიროზე სანაოსნო საშუალებათა შენახვის წესებით, რომლებიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 12 ივნისის № 309-29 დადგენილებით.

პლაჟებით სარგებლობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, დაეკისროს საქართველოს სსრ წყალში მაშველ საზოგადოებას მოაწყოს სახელშეკრულებო საწყისებზე პლაჟების, მათ შორის უწყებრივი პლაჟების, ტერიტორიებისა და აკვატორიების ყოველწლიური შემოწმება დაინტერესებული უწყებებისა და დაწესებულებების სახსრების ხარჯზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 19 აპრილი, № 177.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1972 წლის 19 აპრილის № 177
დადგენილებით

საქართველოს სს რესპუბლიკაში

ზომამცირე გემების რეგისტრაციის, აღრიცხვის, ტექნიკური შემოწმების მოწყობისა და ექსპლოატაციის წესები

1. ეს წესები ერთიანია საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე და სავალდებულოა ყველა საწარმოსა, დაწესებულებისა და ორგანიზაციისა (გარდა საქართველოს სსრ თევზის მრეწველობის საწარმოო სამმართველოს საწარმოებისა და ორგანიზაციებისა) და ცალკეული მოქალაქეებისათვის, რომელთა გამგებლობაშიც იმყოფებიან ზომამცირე გემები და რომლებზედაც არ ვრცელდება სსრ კავშირის რეგისტრის ტექნიკური ზედამხედველობა.

ზომამცირე გემების რეგისტრაცია და აღრიცხვა

2. ზომამცირე გემების რეგისტრაციასა და აღრიცხვას ახორციელებს საქართველოს სსრ წყალში მაშველი საზოგადოების (წყალმაშველის) ცენტრალური საბჭოს მცირეწყვის ფლოტის სანავიგაციო-ტექნიკური ინსპექცია მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების გადაწყვეტილებებისა და ასსრ მინისტრთა საბჭოების დადგენილებების შესაბამისად.

3. საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები და ინდივიდუალური გემთმფლობელები მოვალენი არიან ხუთი დღე-ღამის განმავლობაში გაატარონ რეგისტრაციაში (ხელახალ რეგისტრაციაში) მათი კუთვნილი ზომამცირე გემები, ამ გემების ტექნიკური მდგომარეობისა და დანიშნულების მიუხედავად, სანაოსნო საშუალებათა შეძენის (მიღების) ან ისეთ გარემოებათა წარმოშობის მომენტიდან, რომლებიც იწვევენ მათს ხელახალ რეგისტრაციას.

4. რეგისტრირებულ უნდა იქნან შემდეგი ზომამცირე გემები: კატერები, გლისერები, სკუტერები, მოტორიანი და უმოტორო ბოტები, ფელუკები, იახტები, პლიმკოუტები, კუნგასები, კანჯოები, ბაიდარები, კანოე, მოტორიანი ნავები საკიდი და სტაციონარული მოტორებით, იალქნიანი, ნიჩბიანი ნავები და სხვა გემები.

5. საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და მოქალაქეთა კუთვნილი გემები რეგისტრაციაში გატარდება მათი სამყოფელი (საცხოვრებელი) ადგილის ან იმ ნავმისადგომის ადგილის მიხედვით, რომელზედაც მიწერილია გემი.

6. ზომამცირე გემების რეგისტრაცია წარმოებს შემდეგი საბუთების საფუძველზე:

— მფლობელის წერილისა (განცხადებისა), რომელშიაც მოყვანილი იქნება ძირითადი ცნობები გემის შესახებ, აღინიშნება სადგომი ადგილი, საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების მისამართი ან ინდივიდუალური მფლობელის საცხოვრებელი ადგილი;

— საბუთებისა, რომლებიც ადასტურებენ რეგისტრაციაში გასატარებელი გემის კუთვნილებას;

— ქვითრისა გემის რეგისტრაციის (ხელახალი რეგისტრაციის) და ტექნიკური შემოწმების გამოსაღების გადახდის შესახებ.

7. საქართველოს სსრ წყალში მაშველი საზოგადოების მცირეწყვის ფლოტის ინსპექტორი მფლობელს მისცემს გემის ბილეთსა და ტექნიკურ ტალონს, გემს მიაკუთვნებს ნომერს და მიაწერს მას დაწესებულ ნავმისადგომს.

8. მიწერის ნავსადგურის დასახელება, ნავმისადგომის ნომერი და მცირეწყვის ფლოტის ინსპექტორის მიერ მიკუთვნებული ნომერი აღინიშნება რეგისტრირებული სანაოსნო საშუალების კიჩოზე (ტრანცზე).

მცირეწყვის ფლოტის ინსპექციაში რეგისტრაციის შემდეგ ყველა სანაოსნო საშუალება რეგისტრირებულ უნდა იქნას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სასაზღვრო ჯარების უახლოეს ნაწილში (ქვედანაყოფში).

9. გემთმფლობელები მოვალენი არიან ყოველწლიურად 1 თებერვლიდან 1 მარტამდე. აგრეთვე (მფლობელის) გამოცვლის ან კონსტრუქციული ცვლილებების დროს აწარმოონ მათი კუთვნილი სანაოსნო საშუალებების ხელახალი რეგისტრაცია მცირეწყვის ფლოტის ინსპექტორთან და სასაზღვრო ჯარების უახლოეს ნაწილში (ქვედანაყოფში), რაზედაც გაკეთდება აღნიშვნა გემის საბუთებში. ხელახალი რეგისტრაცია მოხდება მხოლოდ გემის ტექნიკური შემოწმების შემდეგ.

10. გემი მოიხსნება აღრიცხვიდან შემდეგ შემთხვევებში:

— დაღუპვისას ან მაშინ, როდესაც სიძველის გამო, ნაოსნობისათვის უვარგისად იქნება ცნობილი;

— როდესაც გემი გადავიდა სხვა რესპუბლიკების აუზებში იმ ვადით, რაც ერთ ნავიგაციას აღემატება.

აღრიცხვიდან მოხსნილი გემები უნდა იქნენ გატანილი ნავმისადგომის ტერიტორიიდან ან მოსპობილი წყლიდან მათი ამოღების მომენტიდან სამი დღეღამის განმავლობაში.

11. გემის ბილეთის ან ტექნიკური ტალონის დაკარგვისას გემთმფლობელს მიეცემა გემის ბილეთის ან ტექნიკური ტალონის დუბლიკატი. გემის ბილეთის ან ტექნიკური ტალონის დუბლიკატის გაცემა წარმოებს გემის ტექნიკური შემოწმების შემდეგ. მფლობელმა უნდა გაიაროს ხელახალი რეგისტრაცია სასაზღვრო ჯარების უახლოეს ნაწილში (ქვედანაყოფში).

12. გაცემული გემის ბილეთებისა და ტექნიკური ტალონების აღრიცხვა წარმოებს სარეგისტრაციო დავთარში.

გემის ბილეთებისა და ტექნიკური ტალონების ბლანკები წარმოადგენენ მკაცრი აღრიცხვის საბუთებს.

ზომამცირე გემების ტექნიკური შემოწმება

13. ზომამცირე გემების ტექნიკური შემოწმება წარმოადგენს ექსპლოატაციაში მყოფ სანაოსნო საშუალებათა წესივრობისადმი კონტროლის ერთ-ერთ

ფორმას და იგი ხელს უნდა უწყობდეს მათი ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

14. კომისიები, რომელთა შემადგენლობაში შედიან საქართველოს სსრ წყალში მაშველი საზოგადოების მცირეწყვის ფლოტის ინსპექციის წარმომადგენლები, წყალსატევებში ადამიანთა სიცოცხლის დაცვის საზოგადოებრივი ინსპექტორები და საზოგადოებრიობის სხვა წარმომადგენლები (საზღვაო და სამდინარო ფლოტის სპეციალისტები) წყალზე ტექნიკურ შემოწმებას ატარებენ ყოველწლიურად, სანავიგაციო პერიოდის დაწყებისთანავე.

ტექნიკური შემოწმების ვადები და კომისიების პერსონალური შემადგენლობა შეთანხმებული უნდა იქნეს მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან.

15. ტექნიკური შემოწმება უნდა გაიაროს ყველა ზომამცირე გემმა, რომლებიც აყვანილი არიან აღრიცხვაზე ან აყვანილ უნდა იქნან აღრიცხვაზე მცირეწყვის ფლოტის ინსპექციაში.

16. ტექნიკური გასინჯვისას გემთმფლობელები წარადგენენ გემის საბუთებსა და ქვითარს ტექნიკური შემოწმების გამოსაღების გადახდის შესახებ.

17. ნაოსნობის რაიონის დასადგენად, უსაფრთხო ნაოსნობისათვის გემის ვარგისიანობის გამოსარკვევად და მისთვის კლასის მისაკუთვნებლად დაწესებულია ორი სახეობის ტექნიკური შემოწმება — პირველადი და ყოველწლიური.

18. პირველადი ტექნიკური შემოწმება წარმოებს იმ მიზნით, რომ დადგინდეს გემის ძირითადი ტექნიკური დახასიათება: წყალშიგი, გემის წყალზედა ბორტის სიმაღლე, კონსტრუქციული თავისებურებანი, ტვირთამწეობა, მგზავრტევადობა, მდგომარეობა (ყოფაქცევა) ქარიან ამინდში, მოხერხებულობა გემის მართვაში, მართვის ხილვადობა, მდგრადობა.

გემის წყალშიგი გამოირკვევა დატვირთვისას და ცარიელ მდგომარეობაში ფორშტევენთან, ახტერშევენთან, მიდელზე.

შემოწმების შედეგების საფუძველზე გემთმფლობელი მოვალეა გემის ბორტზე გაავლოს ტვირთიანი გემის ყველაზე მეტი წყალშიგის მაჩვენებელი ხაზი.

გემი მიეკუთვნება ბანიანებს, თუ ქიმის (ბორტის) ხაზით შემოზღუდული ფართობი, იმ ფართობის ჩათვლით, რომელიც დანაშენებს ან ჯიხურებს უკავია, დახურულია წყალგაუმტარი გემბანით ქიმიდან ქიმამდე გემის სიგრძის არა ნაკლებ 75 პროცენტისა. ყველა საძრომი გემბანსა და ტიხრებში საიმედოდ უნდა დაიკეტოს.

გემი ითვლება ნახევარბანიანად, თუ ქიმის ხაზით შემოზღუდული ფართობი, იმ ფართობის ჩათვლით, რაც უკავიათ დანაშენებს ან ჯიხურებს, რომლებიც წყალგაუმტარად შეერთებულია გემბანთან და აქვთ ყველა საძრომისა („ლიუკი") და კარების წყალგაუმტარი საკეტები, — დახურულია ქიმიდან ქიმამდე წყალგაუმტარი გემბანით გემის სიგრძის არა ნაკლებ 40 პროცენტისა.

გემი ითვლება უგემბანოდ, თუ ქიმის ხაზით შემოზღუდული ფართობი დახურულია წყალგაუმტარი გემბანით, ქიმიდან ქიმამდე გემის სიგრძის არა ნაკლებ 40 პროცენტისა.

ქარიან ამინდში გემის მდგომარეობა გამოირკვევა იმის მიხედვით, თუ რამდენად შესწევს მას ტალღაზე ასვლის უნაოი, რამდენად ხდება მისი წყლით ავსება, ტალღის მიმართ სხვადასხვა კუთხით სვლისას, აგრეთვე მისი ბორტიდან ბორტზე რწევის მიხედვით.

ქარიან ამინდში გემის მდგომარეობის ყოფაქცევის ვარგისიანობის შეფასების საფუძველს წარმოადგენს თუ რამდენად ადის გემი ტალღაზე, ისე რომ არ ჩაყვინთოს ცხვირით, რამდენად ხდება მისი წყლით ავსება, რაც საფრთხეს არ უქმნის ნაოსნობას, და შეშხეფება, რაც ხელს არ უშლის გემის მართვას.

გემის მართვის მოხერხებულობის ტექნიკურ შემოწმებაში შედის იმის გამორკვევა, თუ რამდენად თავისუფლად მოქმედებს მძღოლი ძრავის და მთლიანად გემის მართვის დროს, მათ შორის მანევრების მიბმის, მეჩეჩიდან მოხსნის, ტალღაზე ცურვის დროს და სხვ.

მართვის არახილვადი (მკვდარი) ზონა მართვის მაქსიმალური სიჩქარისას არ უნდა აღემატებოდეს 15 მეტრს.

19. ყოველწლიური ტექნიკური შემოწმება ტარდება იმ მიზნით, რომ გაისინჯოს გემის ტექნიკური მდგომარეობა, მისი საექსპლოატაციო მზადყოფნა, მაშველი და წყალსაღვრელი საშუალებებით, შუქნიშნებითა და ინვენტარით დაკომპლექტება, სსრ კავშირის რეგისტრის ნორმების შესაბამისად.

20. ზომამცირე გემების ბაზა-სადგომების, პონტონური ნავმისადგომებისა და ფონების საკონტროლო გასინჯვისას შემოწმდება ნავმისადგომებისა და ფონების მდგომარეობა, არის თუ არა მათზე მაშველი და სიგნალიზაციის საშუალებანი, წარმოებს თუ არა ცურვაში გემების გასვლისა და ცურვიდან დაბრუნების აღრიცხვა, უზრუნველყოფილია თუ არა უსაფრთხო ნაოსნობის ინსტრუქციებითა და წესებით.

21. ზომამცირე გემების ტექნიკური შემოწმების და ფლოტის ბაზა-სადგომების, ნავმისადგომებისა და ფონების საკონტროლო გასინჯვის შედეგები გაფორმდება აქტებით.

ზომამცირე გემების ექსპლოატაციის წესები

22. ის საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები და კერძო პირები, რომლებსაც ზომამცირე გემები ჰყავთ, მოვალენი არიან შეინახონ ისინი ტექნიკურად გამართულ და ექსპლოატაციისათვის ვარგის მდგომარეობაში.

საექსპლოატაციოდ დაიშვებიან ის გემები, რომლებმაც გაიარეს რეგისტრაცია და ტექნიკური შემოწმება და რომლებიც თავიანთი მოწყობილობისა და მომარაგების მხრივ აკმაყოფილებენ საზღვაო და სამდინარო ფლოტის ტექნიკური ექსპლოატაციის წესებს, საქართველოს სსრ შინაგანი სანაოსნო გზებით ნაოსნობის წესებს და ამ წესებს, გემებისათვის დაწესებული კლასისა და ნაოსნობის რაიონების მიხედვით.

23. საქართველოს სსრ წყალში მაშველი საზოგადოების მცირეწყვის ფლოტის ინსპექციის ზედამხედველობის ქვეშ არსებული ყველა გემი ნაოსნობის რაიონების მიხედვით იყოფა ორ კლასად: „რ“ და „ლ“.

„რ“ კლასს მიეკუთვნებიან ის გემები, რომლებიც სანაოსნოდ დაიშვებიან „რ“ თანრიგზე მიკუთვნებულ სანაოსნო გზებსა და წყალსატევებში.

გემები, რომლებსაც მცირეწყვის ფლოტის ინსპექცია მიაკუთვნებს „რ“ კლასს, დაიშვებიან ნაოსნობისათვის შიდასანაოსნო გზებზე და „რ“ თანრიგის წყალსატევებში ორ ბალამდე ღელვის დროს.

„ლ“ კლასს მიეკუთვნებიან გემები, რომლებიც დაიშვებიან ნაოსნობისათვის „ლ“ თანრიგზე მიკუთვნებულ მდინარეებსა, ტბებსა, არხებსა და სხვა წყალსატევებში.

გემები, რომლებსაც მიკუთვნებული აქვთ „ლ“ კლასი, დაიშვებიან ნაოსნობისათვის შიდასანაოსნო გზებსა და „რ“ თანრიგის წყალსატევებში, როდესაც ღელვა არ აღემატება ერთ ბალს.

24. მცირეწყვის ფლოტის ბაზა-სადგომების ექსპლოატაცია წარმოებს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების ნებართვით ტექნიკური შემოწმების შემდეგ.

ბაზა-სადგომების მქონე საწარმოები და ორგანიზაციები გამოყოფენ პირებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ზომამცირე გემების ექსპლოატაციისა და სანაოსნოდ გასვლისათვის.

თითოეულ ბაზა-სადგომში უნდა იყოს ცურვაში გემების გასვლისა და ცურვიდან დაბრუნების აღრიცხვის ჟურნალი.

ზომამცირე გემების ექსპლოატაციისა და ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ იმ ორგანიზაციებსა და პირებს, რომლებმაც გასცეს ნაოსნობისათვის გემების გასვლის ნებართვა.

25. ზომამცირე მოტორიანი გემებისა და იალქნიანი იახტების სამართავად დაიშვებიან ის პირები, რომლებსაც აქვთ მოწმობა ამ გემების მართვის უფლების შესახებ.

მოტორიანი და იალქნიანი გემების სანაოსნოდ გასვლა აკრძალულია, თუ გემთმფლობელებს თან არა აქვთ მოწმობა, გემის ბილეთი და ტექნიკური ტალონი.

26. გემთმფლობელები მოვალენი არიან მცირეწყვის ფლოტის ინსპექციის, მილიციის მუშაკთა, წყალსატევებში ადამიანთა სიცოცხლის დაცვის საზოგადოებრივ ინსპექტორთა და მაშველი სამსახურის წარმომადგენელთა მოთხოვნით წარადგინონ გემის საბუთები და გემის მართვის უფლების მოწმობა.

27. იალქნიან გემებს მომუშავე მოტორით ნაოსნობის ნება ეძლევათ მხოლოდ მაშინ, როცა იალქანი მოხსნილია (აკეცილია).

28. ზომამცირე გემებზე აკრძალულია:

— მოძრაობა ნისლში ან სხვა არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში, როდესაც ხილვადობის უქონლობის გამო ორიენტირება შეუძლებელია;

— იალქნების დაყენება სასეირნო (ნიჩბიან) ნავებზე;

— სანაოსნოდ გასვლა, როდესაც ქარის ძალა ხუთ ბალზე მეტია და ღელვა სამ ბალს აღემატება, აგრეთვე როდესაც გემი არ არის დაკომპლექტებული საჭირო მაშველი, წყალსაღვრელი და სხვა საშუალებებითა და ინვენტარით;

— ბანაობისათვის გამოყოფილ აკვატორიაში შესვლა, სანაოსნო ვითარების მცურავ ნიშნებთან მისვლა და მათზე მიბმა;

— თვითმავალ და მობუქსირე სატრანსპორტო და ტექნიკურ გემებთან მისვლა, სამგზავრო გემმისადგომებთან, დებარკადერებთან, რაბებთან და ხიდებთან გაჩერება;

— ტბის, ზღვის სანაპირო ზონიდან დაშორება ერთი კილომეტრზე მეტ მანძილზე;

— ტვირთის გადაზიდვა რეწვის სახით;

აკრძალულია „კანოეს“, „ბაიდარის“ ტიპის სპორტული ნავებითა და მცირე პრტყელძირიანი ნავებით გასვლა დახურული ნავსაყუდებიდან, მდინარეთა ბუნებრივი ყურეებიდან ღია რეიდზე ან დიდი მდინარის შუაგულში, გარდა სპორტულ შეჯიბრებათა დღეებისა, რასაც ატარებენ საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ წესრიგსა და უსაფრთხოებას შეჯიბრების დროს.

29. ზომამცირე გემებზე მყოფ პირებს ეკრძალებათ:

— გემის გადატვირთვა მათთვის დაწესებული მგზავრტევადობის ან ტვირთამწეობის გადამეტებით;

— ბანაობა ნავებიდან და იახტებიდან და მათი რყევა;

— ერთი ნავიდან მეორეზე გადაჯდომა;

— ნავებისა და კატერების ქიმებზე ჯდომა

34 თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ნინო ნაკაშიძის სახელობის სტიპენდიის დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

გამოჩენილი ქართველი მწერლის ნინო ნაკაშიძის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად დაწესდეს თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგიური ფაკულტეტის სტუდენტებისათვის ნინო ნაკაშიძის სახელობის 1 სტიპენდია ინსტიტუტისათვის დამტკიცებული სასტიპენდიო ფონდის ფარგლებში.

სტიპენდიის ოდენობა განისაზღვროს 50 მანეთით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჭიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 20 აპრილი, № 185.

მუნიციპალური ბიბლიოთეკა

35 დასამზადებელი და საერთო-საკავშირო ფონდში გასაგზავნი ხილის, ბოსტნეულისა და კარტოფილის ხარისხისადმი კონტროლის გაძლიერების შესახებ

დასამზადებელი და საერთო-საკავშირო ფონდში გასაგზავნი ხილის, ბოსტნეულისა და კარტოფილის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით და სსრ კავშირის დამზადების სამინისტროს 1972 წლის 11 თებერვლის № 64—16/980 წერილის შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაეკისროს საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს საერთო-საკავშირო ფონდში და სხვა დანიშნულებისათვის გასაგზავნი ხილის, ბოსტნეულისა და კარტოფილის ხარისხისადმი კონტროლი და სერტიფიკატების გაცემა, ხოლო, როდესაც პროდუქციის ხარისხი ვერ აკმაყოფილებს სახელმწიფო სტანდარტებისა და რესპუბლიკური ტექნიკური პირობების მოთხოვნებს — დასკვნების მიცემა ამ პროდუქციის ხარისხის შესახებ.

2. დაწესდეს, რომ ხილბოსტნეულის პროდუქციის ტრანსპორტირების, დატვირთვა-გადმოტვირთვისა და მიღების დროს მისი შესაძლო გაფუჭებისა, ხარისხის გაუარესებისა ან სხვა ცვლილებებისათვის ქონებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება დადგენილი წესით პროდუქციის მიმწოდებელს, გადამზიდავს ან მიმღებს იმის მიხედვით, თუ ვისი მიზეზით გაფუჭდა პროდუქცია ან გაუარესდა მისი ხარისხი.

3. საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს ფუნქციების გაფართოებასთან დაკავშირებით, გადაეცეს მას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტის „საქკონსერვხილბოსტნისაგან“ 25 საშტატო ერთეული, ხელფასის 3079 მანეთი თვიური ფონდით და მმართველობის აპარატის შესანახი ზღვრული ასიგნებანი — 46 ათასი მანეთი წელიწადში, აგრეთვე მსუბუქი ავტომანქანა გაზ-69-ა.

ნება დაერთოს სახელმწიფო კომიტეტს „საქკონსერვხილბოსტანს“ გამოიყენოს ცენტრალურ აპარატში დარჩენილი 3 საშტატო ერთეული ხელფასის 415 მანეთი თვიური ფონდით და ხარჯოს მათ შესანახად წელიწადში 8 ათასი მანეთი.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ შეიტანოს საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტის „საქკონსერვხილბოსტნის“ 1972 წლის შემოსავალ-გასავლის ბალანსებში ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებები ისე, რომ უცვლელი დარჩეს მთლიანად ბიუჯეტთან ურთიერთობა.

4. შემცირდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტის „საქკონსერვხილბოსტნის“ ხილბოსტნეულის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის მუშაკებისათვის დაწესებული თანამდებობრივი განაკვეთების პერსონალური დანამატების ფონდი 30 მანეთით და გადაეცეს იგი საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს;.

5. დამტკიცდეს სსრ კავშირის დამზადების სამინისტროსთან შეთანხმებული თანდართული დებულება საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის შესახებ.

6. დაევალოს საქართველოს სსრ „მთავარმომარაგებას“ წარმოადგინოს წინადადება იმის შესახებ, რომ გამოეყოს საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს 1972 წლის პირველ ნახევარში ოთხი მსუბუქი ავტომანქანა იმ ავტომანქანების რიცხვიდან, რომლებიც თავისუფლდება რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებში, ამასთან გაითვალისწინოს, რომ გამოყენებულ იქნან ისინი სპეცმანქანებად გაგზავნის ადგილებში მთელი გასაგზავნი ხილისა და ბოსტნეულის ოპერატიული ინსპექტირებისათვის, მათ შორის „გაზ-69“ მარკის ერთი მსუბუქი ავტომანქანა მოძრავი ლაბორატორიის მოსაწყობად.

7. რესპუბლიკის საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო და დამამზადებელი ორგანოების უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს დასამზადებელი და საერთო-საკავშირო ფონდში გასაგზავნი სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება.

დაევალოთ საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტს „საქკონსერვხილბოსტანს“ შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ დასამზადებელი და საერთო-საკავშირო ფონდში გასაგზავნი ხილბოსტნეულის ხარისხის გაუმჯობესებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 25 აპრილი, № 196.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1972 წლის 25 აპრილის № 196
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის შესახებ

1. საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის ხარისხის სახელმწიფო ინსპექცია (მთავარი სამმართველოს უფლებებით) შექმნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 19 იანვრის № 30 დადგენილების საფუძველზე.

2. სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის მთავარ ამოცანებს წარმოადგენს:

იმისადმი კონტროლის განხორციელება, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სოფლის მეურნეობის იმ პროდუქტებისა და ნედლეულის მაღალი ხარისხი, რომლებსაც რესპუბლიკაში ამზადებს ყველა სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაცია სახელმწიფო შესყიდვის წესით, აგრეთვე აღნიშნული პროდუქციის შენახვისადმი სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელება;

იმისადმი სახელმწიფო კონტროლის განხორციელება, თუ რამდენად სწორად საზღვრავენ დამამზადებელი ორგანიზაციები და საწარმოები კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა ორგანიზაციებში შესყიდული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხს, რამდენად სწორად იცავენ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა ორგანიზაციები სახელმწიფოსათვის ხარისხოვანი პროდუქციის მიყიდვის ვალდებულებებს, სწორად და დროულად ეწევიან თუ არა ისინი ამ პროდუქციისათვის ანგარიშის გასწორებას, აგრეთვე იმ სადავო საკითხების გადაწყვეტა, რომლებიც წამოიჭრება შესყიდული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხის შეფასების დროს;

სახელმწიფო პურის რესურსების შენახვისადმი სახელმწიფო კონტროლის განხორციელება;

იმ ხილისა და ბოსტნეულის ხარისხის ინსპექტირება, რომელიც იგზავნება საერთო-საკავშირო ფონდში და სხვა დანიშნულებისათვის, სერტიფიკატებისა და დასკვნების მიცემა ამ პროდუქციის ხარისხის შესახებ, აგრეთვე რესპუბლიკის ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში შემოსული კარტოფილის, ხილისა და ბოსტნეულის ხარისხის შესახებ წამოჭრილი სადავო საკითხების გადაწყვეტა, სათანადო საბუთების გაცემა;

მარცვლისა და სხვა პურეული პროდუქტების ხარისხის დადგენის უზრუნველყოფა საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციებისა და სხვა დანიშნულებისათვის გაგზავნის დროს.

3. სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის ხარისხის სახელმწიფო ინსპექცია:

ა) მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად კონტროლს გაუწევს სახელმწიფო და საერთო სტანდარტების, სრულიად საკავშირო, რესპუბლი-

კათშორისო, რესპუბლიკური და სხვა ტექნიკური პირობების დაცვას საქართველოს სსრ დამამზადებელი და სავაჭრო ორგანიზაციებისა და გადამმუშავებელი საწარმოების მიერ და მარცვლის, პარკოსანი და ზეთოვანი კულტურების თესლის, შაქრის ჭარხლის, თამბაქოს, ეთერზეთოვანი და სხვა ტექნიკური კულტურების, ბალახების თესლის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ბაღჩეულისა და ხილის, ჩაის, ყურძნის, ციტრუსების, დაფნის ფოთლის, პირუტყვის, რძის, კვერცხის, მატყლის, ტყავის და მეცხოველეობის სხვა ნედლეულისა და ბეწვეულის ხარისხის დადგენის მოქმედი მეთოდების გამოყენებას კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა მეურნეობებში, აგრეთვე მოსახლეობაში სახელმწიფო შესყიდვის დროს;

ბ) მონაწილეობს სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შემუშავებაში, რასაც სასოფლო-სამეურნეო და სხვა ორგანოები ახორციელებენ, და უზრუნველყოფს ამ ორგანოებთან ერთად, შემუშავებულ ღონისძიებათა შესრულების კონტროლს.

გ) განიხილავს დამზადებული სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის ხარისხის შეფასების დროს დამამზადებელ ორგანიზაციებსა, გადამმუშავებელ საწარმოებსა და კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა მეურნეობებს შორის წამოჭრილ უთანხმოებას;

დ) იძლევა ტრანსპორტირების, მიღებისა და შენახვის დროს სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებზე დამამზადებელი, სავაჭრო ორგანიზაციებისა და გადამმუშავებელი საწარმოებისათვის შესასრულებლად სავალდებულო მითითებებს;

ე) შესაბამისი ორგანიზაციების წინაშე დააყენებს საკითხს, რომ პასუხისგებაში იქნან მიცემული თანამდებობის პირები, რომლებიც დამნაშავენი არიან სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის გაფუჭებაში ან ხარისხის შემცირებაში და გასაგზავნად მათი მომზადების წესების დარღვევაში;

ვ) შეამოწმებს დამამზადებელი ორგანიზაციების მიერ შესყიდული სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის დაწესებულ კონდიციებამდე დროზე აყვანის ღონისძიებათა განხორციელებას, მისი შენახვის მდგომარეობას, იმას, თუ რამდენად სწორად არის ასახული სოფლის მეურნეობის პროდუქტების ხარისხის მაჩვენებლები ანგარიშგებასა და სხვა საბუთებში, რომლებსაც მათი დამზადებისა და შენახვის დროს ადგენს საქართველოს სსრ ყველა სახელმწიფო, კოოპერაციული და დამამზადებელი ორგანიზაცია, აგრეთვე გადამმუშავებელი საწარმო;

ზ) დადგენილი წესით მიიღებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსაგან, დამამზადებელი და სხვა სავაჭრო ორგანიზაციებისაგან საჭირო მონაცემებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხის, ამ პროდუქციის მისაღებად და შესანახად მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მომზადების, აგრეთვე სახელმწიფოსათვის მიყიდული პროდუქციისათვის კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან ანგარიშსწორების საკითხებზე;

თ) მონაწილეობს სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის ხარისხის ახალი სტანდარტებისა და სხვა დოკუმენტების პროექტების შემუშავებასა და მოქმედი სტანდარტებისა და დოკუმენტების დაზუსტებაში;

ი) ხელმძღვანელობას გაუწევს საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის რესპუბლიკური ლაბორატორიის მუშაობას;

4. პურის სახელმწიფო რესურსების ხარისხის დადგენისა და დაცვა-შენახვისადმი სახელმწიფო კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის ხარისხის სახელმწიფო ინსპექცია:

ა) შეამოწმებს, თუ როგორ იცავენ პურის მიმღები, საფქვავი, ბურღულის, კომბინირებული საკვების საწარმოები და სარეალიზაციო ბაზები მარცვლის, პარკოსანი და ზეთოვანი კულტურების თესლის, ბალახთა თესლის, ფქვილის, ბურღულის, კომბინირებული საკვების მიღების, დაბინავების, დამუშავებისა და შენახვის წესებს, მარცვალსაცავების, საწარმოო საამქროებისა და საწარმოთა ტერიტორიების შენახვის სანიტარიულ წესებს, აგრეთვე პურის მიმღები და მარცვალგადამმუშავებელი საწარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მომზადების გეგმების შესრულებას პროდუქციის ხარისხობრივი დაცვა-შენახვის უზრუნველყოფის მიზნით და ლაბორატორიების მზადყოფნას მიღებული მარცვლის ხარისხის დასადგენად;

ბ) კონტროლს გაუწევს იმას, რომ სწორად აისახოს საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს სისტემის საწარმოთა ანგარიშგებაში პურეული პროდუქტების შენახვის ხარისხობრივი მდგომარეობა;

გ) შეამოწმებს, თუ რამდენად შეესაბამება დაწესებულ კონდიციებს მარცვლისა და მისი გადამუშავების პროდუქტების ხარისხი მათი მიზნობრივი დანიშნულებით გაგზავნის დროს და აკრძალავს არაკონდიციური პურეული პროდუქტების გაგზავნას, აგრეთვე პურეული პროდუქტების გაგზავნას ამ მიზნისათვის გამოუსადეგარი სატრანსპორტო საშუალებებითა და ტარით;

დ) ინსპექტირებას გაუწევს საზღვარგარეთ და სსრ კავშირის დამზადების სამინისტროს მიერ განსაზღვრული სპეციალური დანიშნულებით გასაგზავნი, აგრეთვე საზღვარგარეთიდან მიღებული სახელმწიფო რესურსების მარცვლისა და მისი გადამუშავების პროდუქტების, ზეთოვანი კულტურების თესლისა და კოპტონის ხარისხს, ამასთან გასცემს ყველა საწარმოსა, ორგანიზაციისა და დაწესებულებისათვის, მათი უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად, სავალდებულო სერტიფიკატებსა და დასკვნებს პურეული პროდუქტების, მათ შორის კომბინირებული საკვების ხარისხის შესახებ;

ე) კონტროლს გაუწევს გამომუშავებული ფქვილის, ბურღულისა და კომბინირებული საკვების რაოდენობასა და გამოსავლიანობას მოქმედი სტანდარტების, ტექნიკური პირობებისა და ტექნოლოგიური პროცესის წარმოების წესების შესაბამისად, აგრეთვე საწარმოო დანაკარგების შემცირების ღონისძიებათა შესრულებას;

ვ) შეამოწმებს, თუ რამდენად სწორად წარმოებს მარცვლის, პარკოსანი და ზეთოვანი კულტურების თესლის, ფქვილის, ბურღულისა და კომბინირე-

ბული საკვების რაოდენობრივ-ხარისხოვანი აღრიცხვა პურის მიმღებ და მარცვალგადამმუშავებელ საწარმოებში და ჩამოსაწერად დაამტკიცებს დადგენილი წესით წონაში მათ კლებას, რაც დასაბუთებული იქნება ხარისხის გაუმჯობესებითა და ბუნებრივი კლების ნორმებით;

ზ) კონტროლს გაუწევს პურის ხარისხის სახელმწიფო ინსპექტორების მუშაობას პურის მიმღებ, საფქვავ და ბურღულის საწარმოებში, კომბინირებული საკვების ქარხნებში, საამქროებსა და ნავსადგურებში მათზე დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებისათვის;

თ) მოაწყობს და ყოველწლიურად განახორციელებს სახელმწიფოს მიერ შესყიდული ახალი მოსავლის მარცვლის ხარისხის შესწავლას და შეადგენს მარცვლის ტექნოლოგიურ დახასიათებას მისი წარმოების ძირითად ზონებში.

5. მაღალი ხარისხის ხილბოსტნეულის დამზადებისა და გაგზავნის უზრუნველყოფის მიზნით სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის ხარისხის სახელმწიფო ინსპექცია:

ა) ინსპექტირებას გაუწევს საქართველოს სსრ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მიმღებ-დამამზადებელი პუნქტების, გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოების, სავაჭრო და სხვა სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაციების მუშაკებს კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის ჩასაბარებლად, მისაღებად მომზადების, მათი სწორად შენახვისა და ტრანსპორტირების ორგანიზაციის საკითხებზე;

ბ) შეამოწმებს ტარისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობას რესპუბლიკის დამამზადებელ პუნქტებსა და გადამმუშავებელ საწარმოებში, აგრეთვე, იმას თუ როგორ მიმდინარეობს მათი მომზადება ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მისაღებად, შესანახად და გასაგზავნად;

გ) კონტროლს გაუწევს ბოსტნეულის, ხილისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების გასაგზავნად მიწოდებული ვაგონებისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ვარგისიანობას, აკრძალავს აღნიშნული პროდუქტების გაგზავნას ამ მიზნებისათვის გამოუსადეგარი სატრანსპორტო საშუალებებითა და ტარით;

დ) ინსპექტირებას გაუწევს იმ ხილბოსტნეულის ხარისხს, რომელიც საერთო-საკავშირო ფონდის მიმღებთ ეგზავნებათ, ამასთან გასცემს სერტიფიკატებს, სადაც აისახება ზუსტი მონაცემები იმ ხილბოსტნეულის პროდუქციის ხარისხის შესახებ, რომელსაც დამამზადებელი ორგანიზაციები, საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები გზავნიან;

ე) აკრძალავს ისეთი ხილბოსტნეულის გაგზავნას, რომელიც ვერ აკმაყოფილებს სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების მოთხოვნებს, თუ ეს არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებებითა და სპეციალური მითითებებით;

ვ) შეარჩევს და საჭირო შემთხვევებში სპეციალური გამოკვლევისათვის გაუგზავნის კარტოფილის, ხილის, ბოსტნეულის ნიმუშებს საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლე-

ულის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის რესპუბლიკურ ლაბორატორიას დაწეული ხარჯების ანაზღაურებას დააკისრებს დამამზადებელ ორგანიზაციებს.

ზ) მიიღებს საქართველოს სსრ შესაბამისი ორგანიზაციებისა და საწარმოებისაგან საჭირო მასალებს ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების ხარისხის, აღნიშნული პროდუქტების დასამზადებლად, გასაგზავნად და შესანახად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ტარის მომზადების საკითხებზე.

6. სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის მუშაკები მათზე დაკისრებულ მოვალეობათა შესასრულებლად დაუბრკოლებლივ მიდიან მეურნეობებში, რომლებიც ეწევიან სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიყიდვას სახელმწიფოსათვის, იმ პუნქტებსა, ბაზებსა და საწარმოებში, რომლებიც ახორციელებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის მიღებას, გაგზავნას, შენახვასა და გადამუშავებას.

სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის მუშაკთა მითითებებსა და შენიშვნებზე შეტანილ საჩივრებს განიხილავს და მათ გამო გადაწყვეტილებებს მიიღებს ინსპექციის უფროსი.

7. სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის ხარისხის სახელმწიფო ინსპექცია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობით, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროების ბრძანებებითა და მითითებებით, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროების დებულებებით, სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით და უზრუნველყოფს, რომ ცალკეულმა ინსპექციებმა და ინსპექციის რესპუბლიკურმა ლაბორატორიამ სწორად გამოიყენონ მოქმედი კანონმდებლობა სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხის საკითხებზე.

სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის ხარისხის სახელმწიფო ინსპექცია განაზოგადებს თავის საქმიანობის დარგში კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას და შეიმუშავებს წინადადებებს მისი სრულყოფისათვის.

8. სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციას სათავეში უდგას უფროსი, რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ დამზადების მინისტრი.

სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის უფროსი:

— ხელმძღვანელობს ინსპექციის მუშაობას ერთმმართველობის პრინციპის საფუძველზე, მიიღებს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს ხელმძღვანელობას წარუდგენს წინადადებებს იმ საკითხებზე, რომლებიც სამინისტრომ და საქართველოს სსრ მთავრობამ უნდა გადაწყვიტონ, უზრუნველყოფს ინსპექციის საქმიანობის საკითხებზე პარტიისა და მთავრობის დადგენილებების, სსრ კავშირის დამზადების სამინისტროს ბრძანებების, ინსტრუქციებისა და მი-

თითებების შესრულებას და პერსონალურად პასუხისმგებელია ინსპექციაზე დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობათა შესრულებისათვის.

წარმომადგენლობს ყველა დაწესებულებასა და ორგანიზაციაში იმ საკითხებზე, რომლებიც საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის კომპეტენციაში შედის.

გაანაწილებს მოვალეობას ინსპექციის უფროსის მოადგილეებს შორის და დააწესებს დარგობრივი ინსპექციების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას მათთვის მინდობილი უბნების მუშაობის ხელმძღვანელობისათვის.

9. ტრანსპორტირების, დატვირთვის, გადმოტვირთვისა და მიღების დროს ხილბოსტნეულის პროდუქციის შესაძლო გაფუჭებისათვის, მისი ხარისხის გაუარესებისა და სხვა ცვლილებებისათვის ქონებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება დადგენილი წესით პროდუქციის მიმწოდებელს, იმ ორგანიზაციას, რომელიც გადაზიდვას ახორციელებს, ან მიმღებს იმის მიხედვით თუ ვისი მიზეზით გაფუჭდა პროდუქცია ან გაუარესდა მისი ხარისხი.

10. სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციას აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და თავისი სახელწოდება.

მუნიციპალური ბიბლიოთეკა

36 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული დეპეშათა სააგენტოს (საქდესის) საკავშირო-რესპუბლიკური მნიშვნელობის საინფორმაციო სააგენტოდ (საქინფორმად) გარდაქმნის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. გარდაიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული დეპეშათა სააგენტო (საქდესი) საკავშირო-რესპუბლიკური მნიშვნელობის საინფორმაციო ორგანოდ — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საინფორმაციო სააგენტოდ (საქინფორმი).

2. საქინფორმი, რომელიც საქართველოს სსრ სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტოს წარმოადგენს, იღებს მთელ ოფიციალურ და სხვა რესპუბლიკურ ინფორმაციას, ხოლო საკდესისაგან — საერთო-საკავშირო და უცხოეთის ინფორმაციას და ავრცელებს მას პრესის, ტელევიზიისა და რადიოს ორგანოებში.

3. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საინფორმაციო სააგენტო თავისი მდგომარეობის მიხედვით სარგებლობს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტების უფლებებით.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საინფორმაციო სააგენტოს შეიმუშაოს და საკდესთან და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან ერთად წარმოადგინოს პროექტი დებულებისა საქინფორმის შესახებ.

5. დაუწესდეთ თანამდებობრივი განაკვეთები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საინფორმაციო სააგენტოს დირექტორს და მის მოადგილეებს იმ თანამდებობრივი განაკვეთების დონეზე, რაც გათვალისწინებულია მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრებისა და მათი მოადგილეებისათვის.

6. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ „მთავარმომარაგებამ" საქინფორმთან ერთად ორი თვის ვადაში შეიმუშაონ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად წარმოუდგინონ წინადადებანი საქინფორმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების შესახებ, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ საჭიროა შეიქმნას ისეთი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ინფორმაციის მოცულობის შემდგომ გადიდებას, მისი ხარისხის გაუმჯობესებას და ოპერატიულობის ამაღლებას.

7. შენარჩუნებულ იქნეს საქინფორმის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და დაფინანსების ამჟამად მოქმედი წესი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 2 მარტი, № 198.

37 საქართველოს სს რესპუბლიკაში ტექნიკური და სპეციალური ბიბლიოთეკების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ ამ ბოლო წლების მანძილზე რესპუბლიკაში განხორციელდა ტექნიკური და სპეციალური ბიბლიოთეკების ქსელის გაუმჯობესებისა და გაფართოების მთელი რიგი ღონისძიებანი. 1965 წელთან შედარებით ამ ბიბლიოთეკების რიცხვი გაიზარდა 129 ერთეულით. მნიშვნელოვნად გადიდდა წიგნების, ჟურნალების, ბროშურების, სპეციალური სახეობის ლიტერატურის საერთო რაოდენობა.

ეწყობა თემატური გამოფენები და საღამოები, მკითხველთა კონფერენციები, ბიბლიოგრაფიული მიმოხილვები, კონსულტაციები და მთელი რიგი სხვა ღონისძიებანი, რომელთა მიზანია არსებული წიგნადი ფონდების გამოყენება.

მაგრამ ამასთან ერთად, ტექნიკური და სპეციალური ბიბლიოთეკების მუშაობაში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი.

გამოუყენებელი ტექნიკური და სპეციალური საბიბლიოთეკო ფონდების ხვედრითი წონა შეადგენს 58 პროცენტს.

მთელ რიგ ბიბლიოთეკებში დამაკმაყოფილებლად არ არის მოგვარებული ინფორმაცია ახალი ტექნიკური და სპეციალური ლიტერატურის მიღების შესახებ, არ არის მიღებული ქმედითი ზომები მკითხველთა შორის მასობრივი მუშაობის მოსაწყობად.

სამეცნიერო დაწესებულებებში, საპროექტო, საკონსტრუქტორო ორგანიზაციებში, საწარმოებში ჯერ კიდევ იშვიათად ეწყობა მკითხველთა კონფერენციები, გამოფენები, მიმოხილვები, ხოლო განხორციელებულ ღონისძიებათა დონე არ არის საკმაოდ მაღალი.

მთელი რიგი სამინისტროები და უწყებები არ იღებენ ქმედითს ზომებს ტექნიკური და სპეციალური ბიბლიოთეკების მუშაობის პირობების გაუმჯობესებისა და იმისათვის, რომ დაუთმონ მათ საჭირო საღგომები, ინვენტარი, მოწყობილობა, შეავსონ და განაახლონ წიგნადი ფონდი.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და რესპუბლიკაში ტექნიკური და სპეციალური ბიბლიოთეკების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ რესპუბლიკის სამინისტროებს, უწყებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებსაც ტექნიკური და სპეციალური ბიბლიოთეკები აქვთ, განახორციელონ ამ ბიბლიოთეკების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებანი.

2. იმ მიზნით, რომ რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულმა სამრეწველო საწარმოებმა, სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა, საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა ფართოდ და ეფექტიანად გამოიყენონ სპეციალურ სახეობათა არსებული უნიკალური ფონდები (პატენტები, სტანდარტები, სამრეწველო კატალოგები და ა. შ.), და-

ევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს მოაწყოს ქალაქ სოხუმში, ბათუმში, ქუთაისსა და ცხინვალში საქართველოს რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკების წიგნის გაცემის პუნქტები ბიბლიოთეკისათვის დამტკიცებული საშტატო განრიგის ფარგლებში.

3. აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭომ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და ქ. ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა 1972 წელს, ხოლო აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭომ 1973 წელს გამოძებნონ იმის შესაძლებლობა, რომ გამოიყოს სპეციალურად გაწყობილი სადგომები საქართველოს რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკების წიგნის გაცემის პუნქტების მოსაწყობად.

4. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ უზრუნველყოს ტელეტაიპების მოწყობა საქართველოს რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკის წიგნის გაცემის პუნქტებში: 1972 წელს — ქ. ბათუმში, ხოლო 1973 წელს — ქ. სოხუმში, ქუთაისსა და ცხინვალში.

ტელეტაიპების დაყენების ხარჯები გასწიოს იმ ასიგნებებიდან, რომლებიც ავტონომიურ რესპუბლიკებს, ავტონომიურ ოლქსა და ქალაქ ქუთაისს გამოეყო.

5. რესპუბლიკის დაინტერესებული ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ინფორმაციით უფრო სრულად უზრუნველყოფის მიზნით დაეკისროს საქართველოს რესპუბლიკურ სამეცნიერო-ტექნიკურ ბიბლიოთეკას რესპუბლიკაში მიღებული საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა, სოფლის მეურნეობისა და მედიცინის უცხოური ლიტერატურის კრებსითი რესპუბლიკური კატალოგის შექმნა.

6. იმისათვის, რომ შემდგომ გაუმჯობესდეს საქმიანობა საქართველოს რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკისა, რომელიც რესპუბლიკის სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკების ქსელის ხელმძღვანელობის მეთოდურ ცენტრს წარმოადგენს, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა დაავალონ საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებსაც სპეციალური და სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკები აქვთ, სავალდებულო წესით წარადგინონ საქართველოს სსრ რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკის მიერ მოთხოვნილი ცნობები.

7. დაევალოთ სამინისტროებსა და უწყებებს შეისწავლონ და გადაწყვიტონ საკითხი, თუ რამდენად მიზანშეწონილია ცენტრალური დარგობრივი ტექნიკური და სპეციალური ბიბლიოთეკების შექმნა მოცემული დარგის დიდი ბიბლიოთეკების ბაზაზე სამრეწველო საწარმოების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროების ტექნიკური და სპეციალური ბიბლიოთეკების საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

8. სამრეწველო სამინისტროებმა და უწყებებმა დაავალონ საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებს რეგულარულად წარუდგინონ საქართველოს რესპუბლიკურ სამეცნიერო-ტექნიკურ ბიბლიოთეკას მათ მიერ გამოშვებული პროდუქციის სამრეწველო კატალოგები ტერიტორიული ფონდის შესავსებად.

9. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ გააძლიეროს იმისადმი კონტროლი, რომ შესრულდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 22 თებერვლის № 482 განკარგულება იმ საკვალიფიკაციო მოთხოვნების საკითხზე, რომლებსაც სამეცნიერო ბიბლიოთეკების მუშაკებს უყენებენ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 27 აპრილი, № 201.

38 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 30 აგვისტოს № 520 დადგენილების დაბა წაღვერზე გავრცელების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სახმშენისა და ბორჯომის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის წინადადება და გავრცელდეს დაბა წაღვერზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 30 აგვისტოს № 520 დადგენილება დაბა ბაკურიანში ადგილობრივ მცხოვრებთა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ნაწილში.

2. დაბებში ბაკურიანსა და წაღვერში მოსახლეთა ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა განხორციელდეს მხოლოდ საქართველოს სსრ სახმშენის მიერ რეკომენდებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების პროექტების მიხედვით.

ამასთან დაკავშირებით დაევალოს ბორჯომის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს ყოველ ცალკე შემთხვევაში ავარიული სახლების ნაცვლად ახალი სახლების მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდეგ უზრუნველყოს ახალი სახლის პროექტის დამტკიცება და სახლის მშენებლობა პროექტის მიხედვით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 27 აპრილი, № 202.

39 სამტრედიის რაიონული პოლიკლინიკისათვის აკადემიკოს ი. ი. ჯანელიძის სახელის მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და სამტრედიის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის შუამდგომლობა და მიეკუთვნოს სამტრედიის რაიონულ პოლიკლინიკას ამ რაიონის მკვიდრის აკადემიკოს იუსტინე ივლიანეს ძე ჯანელიძის სახელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯაფარიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი. 1972 წლის 27 აპრილი, № 203.

40 მოხუცებულ მოქალაქეთა ფასიანი პანსიონატის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შეიქმნეს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სისტემაში მოხუცებულ მოქალაქეთა ფასიანი პანსიონატი (საქართველოს სსრ გურჯაანის რაიონში).

2. დამტკიცდეს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებული თანდართული დებულება მოხუცებულ მოქალაქეთა ფასიანი პანსიონატის შესახებ.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს შესაბამისი სამინისტროებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან შეთანხმებით დაამტკიცოს იმ კომისიის შემადგენლობა, რომელიც გათვალისწინებულია მოხუცებულ მოქალაქეთა ფასიანი პანსიონატის დებულების მე-8 პუნქტით.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით:

დაამტკიცოს ფასიან პანსიონატში მოხუცებულ მოქალაქეთა შენახვის საფასურის ოდენობა;

შეიმუშაოს და დაამტკიცოს ფასიან პანსიონატში მოხუცებულ მოქალაქეთა კვებითა და ტანსაცმლით, თეთრეულით, ფეხსაცმლითა და რბილი ინვენტარით უზრუნველყოფის ნორმები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 27 აპრილი, № 207.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1972 წლის 27 აპრილის № 204
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა
მოხუცებულ მოქალაქეთა ფასიანი პანსიონატის შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. მოხუცებულ მოქალაქეთა ფასიანი პანსიონატი წარმოადგენს სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებას და შედის საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სისტემაში.

2. ფასიანი პანსიონატი მოეწყობა სპეციალურად აშენებულ შენობებში, რომლებიც აკმაყოფილებენ სანიტარიულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს და სახანძრო უსაფრთხოების წესებს, რაც დადგენილია სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებებისათვის, და მას უნდა ჰქონდეს ყველა სახეობის კომუნალური მომსახურება.

3. მოხუცებულ მოქალაქეთა ფასიანი პანსიონატის შენობების მშენებლობა, ამ შენობათა კაპიტალური რემონტი, მათი თავდაპირვანდელი აღჭურვა მაგარი ინვენტარითა და მოწყობილობით, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა საჭირო მარაგის შექმნა პანსიონატის გახსნის დროს, აგრეთვე პანსიონატის სამედიცინო პერსონალის ხელფასისა და მათში მყოფ პირთათვის მედიკამენტების შეძენის ხარჯები გაიღება საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან იმ ნორმების შესაბამისად, რომლებიც გათვალისწინებულია მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლებისათვის.

პანსიონატში მოთავსებულ მოხუცებულ მოქალაქეებს სტაციონარულ სამედიცინო და სპეციალიზებულ ამბულატორიულ დახმარებას გაუწევენ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების სამკურნალო დაწესებულებები.

4. პანსიონატში მოხუცებულ მოქალაქეთა შენახვის ხარჯები დაიფარება მათ მიერ შეტანილი დაწესებული ოდენობის ყოველთვიური საფასურით ან იმ საფასურით, რაც შეაქვთ სხვა პირებს, რომლებიც კანონით მოვალენი არიან შეინახონ ისინი.

5. ფასიანი პანსიონატის სტრუქტურა, შტატები და მუშაკთა ხელფასის განაკვეთები დამტკიცდება დადგენილი წესით.

6. ფასიანი პანსიონატის თანამდებობის პირთა უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ინსტრუქციებით.

II. მოხუცებულ მოქალაქეთა ფასიან პანსიონატში ჩარიცხვისა და პანსიონატიდან მათი გარიცხვის წესი

7. ფასიან პანსიონატში ჩაირიცხებიან მოხუცებული მოქალაქეები (მამაკაცები 60 წელზე მეტი და ქალები 55 წელზე მეტი ასაკისა), ვისაც სტაციონარული მკურნალობა არ სჭირდება, შესაძლებლობა აქვს გადაიხადოს პანსიონატში შენახვის საფასური ან ჰყავს შვილები ან სხვა პირები, რომლებიც კანონით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვალენი არიან შეინახონ ისინი და ამავე დროს არ შეუძლიათ უზრუნველყონ მოხუცებულთა სათანადო მოვლა ოჯახის პირობებში, მაგრამ შესაძლებლობა აქვთ შეიტანონ პანსიონატში მათი შენახვის საფასური.

პანსიონატში არ ჩაირიცხებიან ის პირები, რომლებიც შეპყრობილი არიან ფსიქიური, ინფექციური და ონკოლოგიური დაავადებებით, აქვთ მეტასტაზები და ავთვისებიანი სიმსივნის რეციდივები, დაავადებული არიან ალკოჰოლიზმით, ნარკომანიით, აგრეთვე ის პირები, რომლებსაც აქვთ კანის, ვენერიულ სნეულებათა და ტუბერკულოზის გადამდები ფორმები. თუ პანსიონატში მყოფ პირებს აღმოაჩნდათ აღნიშნული დაავადებანი, ეს პირები გაიგზავნებიან ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების სათანადო სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში ან მათ შვილებთან ან სხვა პირებთან, რომლებიც კანონით ვალდებული არიან შეინახონ ისინი.

8. ფასიან პანსიონატში მოხუცებულ მოქალაქეთა ჩარიცხვის შესახებ განცხადებების განსახილველად, აგრეთვე ამ დებულებით გამოვლინებულ შემთხვევებში პანსიონატიდან მათი გარიცხვის საკითხების გადასაწყვეტად საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსთან შეიქმნება კომისია, რომელშიაც შევლენ საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები, პანსიონატის დირექტორი და საქართველოს პროფსაბჭოს წარმომადგენლები.

კომისიის გადაწყვეტილება პანსიონატში ჩარიცხვის შესახებ და მთელი საბუთები გადაეცემა საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს საგზურის გასაფორმებლად და საბუთების პანსიონატში შემდგომ გადასაცემად.

პანსიონატში მიღებაზე უარის შემთხვევაში კომისია ამას აცნობებს განმცხადებელს.

9. მოხუცებული მოქალაქე, რომელმაც ფასიან პანსიონატში ცხოვრების სურვილი განაცხადა, პირადად ან მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების მეშვეობით წარადგენს ამ დებულების მე-8 პუნქტში აღნიშნული კომისიის განსახილველად შემდეგ საბუთებს:

ა) პირად განცხადებას პანსიონატში ჩარიცხვის შესახებ;

ნოტარიუსით დამოწმებულ ხელმოწერილ პირად ვალდებულებას ან ერთერთი შვილის ან იმ პირის ვალდებულებას, ვინც კანონით მოვალეა შეინახოს იგი, რომ პანსიონატში შენახვისათვის დაწესებულ ვადებში შეიტანს ყოველთვიური საფასურის განსაზღვრულ თანხას;

გ) ცნობას გაწერის შესახებ ან მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს აღმასკომის ცნობას, გაცემულს მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, გვარის, სახელისა და მამის სახელის, დაბადების წლის აღნიშვნით;

დ) სამკურნალო დაწესებულების ცნობას ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, რომელშიაც აღნიშნული იქნება დიაგნოზი და პანსიონატში გაგზავნის შესაძლებლობა;

ე) მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების ცნობას პენსიის ოდენობის შესახებ ან ცნობას იმ პირის ხელფასის (პენსიის) შესახებ, რომელმაც წარადგინა ვალდებულება, რომ დაწესებულ ვადებში შეიტანს მოხუცებული მოქალაქის პანსიონატში შენახვის საფასურს.

თუ პანსიონატში შენახვის საფასურს იხდის ნაწილობრივ თვით მოხუცებული მოქალაქე და ერთ-ერთი შვილი ან სხვა პირები, რომლებიც მოვალენი არიან კანონით შეინახონ იგი, ამ პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება მიიღება თითოეული მათგანისაგან შესატანი თანხის ოდენობის აღნიშვნით.

10. მოხუცებულ მოქალაქეთა ჩარიცხვა ფასიან პანსიონატში წარმოებს მას შემდეგ, რაც წარდგენილი იქნება საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მიერ გაცემული საგზური, აგრეთვე საბუთი დაწესებული საფასურის შეტანის შესახებ და სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სადგურის ცნობა, რომ მას არ ჰქონია კონტაქტი ინფექციით დაავადებულებთან.

11. მოხუცებულ მოქალაქეთა გარიცხვა ფასიანი პანსიონატიდან წარმოებს შემდეგ შემთხვევებში:

— პანსიონატში მყოფი პირის პირადი განცხადებით;

— თუ პანსიონატში მყოფ პირს გაუჩნდა ამ დებულების მე-7 პუნქტში აღნიშნული ერთერთი დაავადების ქრონიკული ფორმა;

— თუ დაწესებულ ვადაში არ შეიტანეს პანსიონატში შენახვის საფასური მოხუცებულმა მოქალაქეებმა ან მათმა შვილებმა, ან სხვა პირებმა, რომლებმაც იკისრეს ამ საფასურის შეტანის ვალდებულება;

— ფასიანი პანსიონატის შინაგანი განაწესის უხეში დარღვევისათვის.

III. ფასიან პანსიონატში მოხუცებულ მოქალაქეთა მომსახურება

12. ფასიანი პანსიონატი მოხუცებულ მოქალაქეებს მისცემს საჭირო მოწყობილობითა და ავეჯით გამართულ ოთახს ერთი ან ორი პირისათვის.

ერთი პირისათვის 10 კვ. მეტრამდე ფართობის ცალკე ოთახის მიცემის დროს შენახვის ღირებულება გადიდდება 20 პროცენტით.

13. მოხუცებულთა შენახვისათვის შეტანილი საფასურის ხარჯზე პანსიონატი გასცემს დაწესებული ნორმებით:

ა) საცვლებს, პიჟამებსა და ხალათებს, ლოგინსა და პირადი ჰიგიენის საგნებს;

ბ) ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს;

გ) საჭმელს.

მოხუცებულთა შენახვისათვის შეტანილი საფასურის ხარჯზე პანსიონატი აგრეთვე გაუწევს მათ:

დ) კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და კულტურულ მომსახურებას;

ე) დაუთმობს ტრანსპორტს ავადმყოფთა მისაყვანად სამკურნალო დაწესებულებაში.

14. იმისათვის, რომ უკეთ მოეწყოს მოხუცებულ მოქალაქეთა საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურება და ჩაბმულ იქნან ისინი ფასიანი პანსიონატის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, პანსიონატში მცხოვრებთა შემადგენლო-

ბიდან აირჩევა საზოგადოებრივი საბჭო, რომელიც მოქმედებს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე.

15. მოხუცებულ მოქალაქეთა ფასიანი პანსიონატის შინაგან განაწესს დაამტკიცებს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო.

16. ფასიან პანსიონატში შენახვისათვის ანგარიშსწორების წესი დადგინდება ინსტრუქციით, რომელსაც დაამტკიცებს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

17. ფასიან პანსიონატში მყოფ მოხუცებულ მოქალაქეებს მათი სურვილისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით მიეცემათ საშუალება იშრომონ პანსიონატთან არსებულ სამკურნალო-შრომითს სახელოსნოში ან მიწის ნაკვეთზე, აგრეთვე გასწიონ სხვა სახეობის საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა.

IV. დაფინანსება და ანგარიშგება

18. მოხუცებულ მოქალაქეთა ფასიანი პანსიონატი იმყოფება დამოუკიდებელ ბალანსზე და მას აქვს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მიერ დამტკიცებული წლიური ხარჯთაღრიცხვა.

19. ფასიანი პანსიონატი შეინახება ამ დებულების მე-3 და 4 პუნქტებით გათვალისწინებული სახსრების ხარჯზე.

ამის გარდა, პანსიონატს შეიძლება ექნეს სპეციალური სახსრები, რომლებიც შეიქმნება სამკურნალო-შრომითი სახელოსნოების, დამხმარე სასოფლო მეურნეობის მიერ მიღებული შემოსავლის და დადგენილი წესით მიღებული სხვა შემოსავლის ხარჯზე. ეს სახსრები მოხმარდება პანსიონატის კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებებს.

პანსიონატს უფლება აქვს გახსნას სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში მიმდინარე ანგარიშები, მათ შორის სპეციალური სახსრების მიმდინარე ანგარიში.

20. ფასიანი პანსიონატის მთელი ქონებრივ-მატერიალური ფასეულობანი წარმოადგენს სახელმწიფოს საკუთრებას. მათი მოვლა-შენახვისათვის მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ დირექტორსა და მატერიალური ფასეულობისათვის პასუხისმგებელ პირებს.

21. ფასიანი პანსიონატი ზემდგომ ორგანიზაციას წარუდგენს დაწესებული ფორმის ოპერატიულ, საბუღალტრო და სხვა ანგარიშგებას.

22. მოხუცებულ მოქალაქეთა ფასიანი პანსიონატი სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით, მას აქვს შტამპი და ბეჭედი, რომელზედაც აღნიშნულია მისი დასახელება.

---

41 „საქართველოს სს რესპუბლიკაში შხამიანი და სხვა სახის გველების დაცვისა და მოპოვების მოწესრიგების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 19 ივნისის № 357 დადგენილების მოქმედების ვადის 1975 წლის 31 დეკემბრამდე გაგრძელების შესახებ

ითვალისწინებს, რა რომ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ბინადარი შხამიანი გველების რაოდენობის თანდათანობით შემცირება ჰქმნის მათი სრული გადაშენების საფრთხეს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის წინადადება და 1975 წლის 31 დეკემბრამდე გაუგრძელდეს მოქმედების ვადა „საქართველოს სს რესპუბლიკაში შხამიანი და სხვა სახის გველების დაცვისა და მოპოვების მოწესრიგების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 19 ივნისის № 357 დადგენილების მე-2 პუნქტს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 28 აპრილი, № 206.

ეროვნული ბიბლიოთეკა

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 2 1972 года

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/IX-1972 წ. ქაღალდის ფორმატი 70×108¹/₁₆.
საბეჭდი თაბახი 4, სააღრიცხვო თაბახი 4.

წლიური ხელმოწერის ფასი 8 მან.

შეკვეთა 563 УЕ 05610 ტირაჟი 2100

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.

ინდექსი — 76187